პარასკევი 1919 წ. თებერვლის 21 № 40
წლიური მეხუთე

პარასკევი 1919 წ. თებერვლის 21 № 40
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დრმად დამწუხრებული მეუღლე თეს გიგინეიშვილი შვილებით პაშა, ოლღა, ალექსანდრა, ანასტასია, დავითი და შალვა, სიძეები: გიორგი მაჭუტაძე, კიკილო ბოლქვაძე, არტემ ნაკაიძე და იოსები ჩხატარაიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ შაბათს, 22 თებერვალს გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სოფელ ჯუჯუყვეთში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, მათი ძვირფასის

დიმიტრი ელიჩუხის ძის
გიგინეიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—2137—1)

შაბათს, 22 თებერვალს, სოფ. კავთისხევში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გადაცვალებულის

ზაქარია დავითის ძე
შატბერაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ სოფიუშკა ზაქ. ასული და სიძე ირაკლი ივანეს ძე მახატლები, სოფიო რომანის ასული, დავით ივანეს ძე მაღალაშვილები, დარია რომან. ასული და სიძე ალექსანდრე ქლივიძეები.
1—2138—1

შაბათს, 22 თებერვალს სოფ. კავთისხევში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვლილის

ზაქარია დავითის ძე შატბერაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ეკატერინე სვიმონის ასული, რძალი ეკატერინე მიხეილის ასული, ივანე რომანოზის ძე, რძალი თამარა გიორგის ასული შვილებითურთ შატბერაშვილები 1—2138—1

დავით ალექსის ძე ქარუმიძე, მიხეილ, შოთა და კონსტანტინ ქარუმიძენი, ანნა გიორგის ასული ქარუმიძისა, მარიამ ლევანის ასული კოშორიძისა, ანდრია, სვიმონ, დიმიტრი, ალექსანდრე და გიორგი კოშორიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 22 თებერვალს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლის, მეორეთა დედის, მესამის რძლის, მეოთხის შვილისას და მეხუთე დის

ანნა იოსების ასულის
ქარუმიძის

განსვენებიდან მეშვიდე დღეს. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 ს. (1—2139—1)

შაბათს, თებერვლის 22-ს ქალთა მე-7 გიმნაზიაში ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება:

საცეკვაო საღამო

მუსიკალურ განყოფილებით, ბუფეტით და ვახშმით.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სპიტკოსი, ბ. სარაჯიშვილი, ინაშვილი, სანდრო ყანჩელი, პაოლო იაშვილი, ნიკო გოცირიძე.
იცეკვავენ: ლილო ბეგთაბეგიშვილი, სიმონოვა და სხვა. დაუკრავს ორკესტრი.
შესასვლელი ფასი 10 მან. დასაწყისი საღამოს 8 ს.
(ვერმიშოვის ქუჩა, ყოფილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში) ბილეთები იყიდება შენობაში.
1—2136—1

ეროვნული დროშები

სხვა და სხვა ზომისა, მასალისა და ფასისა იყიდება:
კულტურისა და შრომის კავშირის შტემპელებ[ი]ს ქარხანაში
ნიკოლოზის ხიდი (ვორონცოვის ძეგლის აქეთ) № 21.
ეროვნული დროშები ორიგინალ ტარებით სახლების, მაღაზიების და დაწესებულებათა შესამკობად.
მცირე დროშები ავტომობილებისათვის, საბავშვო სეირნობისათვის და სხვა.
ფასები, მასალა [illegible] თან [illegible],
დაკლებული და ხელმისაწვდენი.
შელებილ ნარმის დროშები 5 მან-დან,
აბრეშუმისა 12 მან-დის.
სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ ფასდაკლებით.
ქართველებო, შეიძინეთ ეროვნული დროშები!!
1—16—1

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი
„საქართველო“
1919 წ. წლიური მეხუთე 1919 წ.
გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.
მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.
კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.

მოქალაქენო!
შეიძინეთ საქართველოს ხაზინის 5 პროც. ვალდებულებანი ამით თქვენ გააძლიერებთ სახელმწიფო ფინანსებს და თავისუფალ ფულსაც სარგებლით და საიმედოთ დააბინავებთ. ვალდებულების შეძენა შეიძლება ყველა ხაზინებში და საკრედიტო დაწესებულებებში.
3—15—1

კოოპერატორებო და ერობის მოღვაწენო!
ხალხში ახლა აუარებელი ფული უსარგებლოთ არის თავმოყრილი. შეიძინეთ და გაავრცელეთ საზოგადოებაში საქართველოს ხაზინის
5 პროც. ვალდებულებანი
ამით თქვენ დიდ სამსახურს გაუწევთ რესპუბლიკის ხაზინას და იმ პირთაც, რომელთაც ვერ უპოვნიათ საშუალება ფულის საიმედოთ და სარგებლით დასაბინავებლად. 3—15—1

კინემო მინიონი
გოლოვინის და ბარიათინის კუთხე.
დღეს ჩვენს ეკრანზე
„ბუხართან“
მონაწილეობენ:
სურათში:
„დაივიწყე ბუხარი, მასში ცეცხლი ჩაიფერფლა“.
დრამა 6 მოქ.
სეანსის დასაწყისი 4 ნახ. ს.
12—3

## სოჭის ოლქი

ინგლისურმა მისიამ ოფიციალურად შეატყობინა საქართველოს მთავრობას, რომ რადგან მოხალისეთა ჯარმა დაარღვია მის მიერვე დადებული პირობა და საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ უბრძანა გენერალ დენიკინს დაუყონებლივ ჯარი გაიყვანოს სოჭის ოლქიდან.

ეს ცნობა შედეგია იმ დიპლომატიურ მოლაპარაკებისა, რომელსაც მოხალისეთა ჯარის შემოჭრის შემდეგ ჩვენი მთავრობა აწარმოებდა ინგლისურ მისიასთან. როგორც პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებიდან და ბ. ნ. ჟორდანიას უკანასკნელი საპარლამენტო სიტყვიდან ვიცით, ჩვენი მთავრობა ამ მოლაპარაკებაში იმ თვალსაზრისს იცავდა, რომ სოჭის ოლქი ქართველი ჯარის მიერ დაჭერილია დროებით, თვით ადგილობრივი მცხოვრებლების სურვილის მიხედვით და ეს ტერიტორია რუსეთს დაუბრუნდება, როცა თვით რუსეთში ნორმალური სახელმწიფოებრივი ცხოვრება დამყარდება. ჩვენი მთავრობის პრეტენზიები არ სცილდება ეგრედ წოდებულ გაგრის ჭიშკარს, რომელიც ბ. ნ. ჟორდანიას სიტყვით საქართველოს ისტორიულ და სტრატეგიულ საზღვარს წარმოადგენს. ამისდამიხედვით ჩვენმა მთავრობამ წინადადება მისცა ადგილობრივ ინგლისურ მთავარსარდლობას თავიანთ რაზმებით დაიჭიროს სოჭის ოლქი.

როგორც ვიცით, ინგლისური პიკეტები დგანან კიდეც სამხედრო გზაზე, ლორში და ყარსის ოლქში. ამგვარად საქართველოს რესპუბლიკას გარს უვლის ერთგვარი ნეიტრალური სარტყელი, რომელიც მას თითქო უზრუნველყოფს ჭირვეული მეზობლების თავდასხმისაგან. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს უზრუნველყოფა აბსოლუტური იყოს. მართალია, მტრის ძალა, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იქნება მომართული, თავდაპირველად აუცილებლად ინგლისის რაზმებს დაეჯახება, მაგრამ თვით ეს რაზმები შედარებით მცირე-რიცხოვანია და დიდი ბრიტანეთის გავლენა ამიერკავკასიაში უფრო ზნეობრივ ფაქტორზეა დაყრდნობილი, ვიდრე მილიტარულზე. თუ ის ზნეობრივი ფაქტორი შეირყა, გაბნეული პიკეტები, რასაკვირველია, ვერ შეაჩერებენ საქართველოს მტრების სტიქიონურ მიმდინარეობას. მეორე მხრივ, თავის-თავად ცხადია, თვით საქართველოს საზღვრების დაცვა არ შეადგენს დიდი ბრიტანეთის საექსპედიციო ჯარის პირდაპირ დანიშნულებას. ამიტომ იმ კეთილგანწყობილებამ, რომელსაც ინგლისის მისია საქართველოსადმი იჩენს, ოდნავაც არ უნდა მოადუნოს ჩვენი საკუთარი ნებისყოფა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ახალციხის მაზრა, რომელიც დღეს მტრის ხელში არის, ინგლისური პიკეტების წრის გადმოღმა იმყოფება და, თუ არ ვსცდებით, თვით ინგლისურმა მისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ მაზრის დაწყნარება და გაწმენდა საქართველოს რესპუბლიკამ თავის საკუთარი ძალებით უნდა მოახდინოს.

თვით სოჭის ოლქის საკითხში ჩვენ სავსებით ვერ დავეთანხმებით მთავრობის თავმჯდომარის აზრს. სოჭის ოლქი სრულიადაც რუსეთის უდავო კუთვნილებას არ წარმოადგენს. როგორც უკანასკნელმა ისტორიულმა გამოკვლევებმა დაამტკიცა არა თუ სოჭის, თვით ახლანდელი ტუაფსის ოლქი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა. რასაკვირველია, დღეს ჩვენს პრეტენზიებს მარტო თამარ მეფის დროის სიგელებით ვერ დავიცავთ. მაგრამ, როგორც ვიცით, საქართველოს რესპუბლიკა მემკვიდრეა არა მარტო ბაგრატიონების საქართველოსი, არამედ ამიერ-კავკასიის ადმინისტრატიული და პოლიტიკური ერთეულისა, რომელშიც ყოველთვის მთელი შავი ზღვის გუბერნია შედიოდა. სოჭის ოლქში დაახლოებით სამოცდაათი ათასი სული სცხოვრობს და აქედან რუსობა მხოლოდ ნახევარი, ე. ი. ოცდა-თხუთმეტი ათასია. ყველაზე ჩქარის ტემპით ქართველი მოსახლეობა იზრდება: ეს გასაკვირალი არ არის, რადგან ოლქს მჭიდროდ დასახლებული ქართული პროვინციები აკრავს და ძველი ჯიქეთი კლიმატიური პირობებით აფხაზეთისა და სამეგრელოს ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს.

და ბოლოს აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ნამდვილ სტრატეგიულ საზღვარს წარმოადგენს მდინარე შახეს ყელი, რომელიც დაახლოებით სოჭის და ტუაფსის ოლქების საზღვრებზე იმყოფება. ეს ხაზი უფრო უზრუნველყოფდა საქართველოს რესპუბლიკას რეაქციური და ბოლშევიკური ძალების თავდასხმისაგან, ვიდრე გაგრის ჭიშკრის დაჭერა.

## პრესსა

გაზ. „მშაკი“ სწერს:

„საქართველოს და ქართული პრესის ხელმძღვანელები დიდ საყვედურით მსჯელობენ იმ მოღალატურ ნაბიჯების გამო, რომელიც ქართველებმა და მაჰმადიანებმა გადადგეს ახალციხე ახალქალაქის და ბათუმის რაიონებში. ჩვენი მეზობლები ახლა აღარ ჰმალავენ, რომ აჭარლები ჭეშმარიტად არიან თურქოფილები, რომელთაც არა ჰსურთ ყოფნა საქართველოსთან და რომელნიც მზად არიან საქართველოს მახვილი ჩასცენ. ისინი მოწმე არიან იმისა, თუ აჭარლებმა როგორ გადასწყვიტეს ბათუმის ბედი ოსმალეთის სასარგებლოდ. ახლა ისინი ჰხედავენ, რომ ოსმალეთის დამარცხების შემდეგ აჭარლებმა რუსეთს მიჰმართეს და დემოკრატიული საქართველო იუარეს.

და ახლა არავისთვის აღარ არის საიდუმლო აღარც, თურქების მისწრაფებანი და სეპარატიული ზრახვანი. და ქართველებიც პირზე ქაფით ანთხევენ შხამსა და ბალღამს მოღალატეთა თავზე. მაგრამ განა ასევე არ მოიქცნენ ქართველი მოღვაწეები ამ ხუთი წლის წინედ.

1915 წ. ოსმალები შეიჭრნენ ართვინის, არტანიის ოლქებში, ცეცხლსა და მახვილს მისცეს სომხური მოსახლეობა. თურქებს აჭარლებიც შეუერთდნენ სხვა მაჰმადიანური ტომებთან და თვისი მეზობელი სომხები აუწერელ ტანჯვას მისცეს. რუსის მთავრობამ გაიგო, რომ აჭარა აღსდგა, დამსჯელი რაზმები გაგზავნა მეამბოხეთა წინააღმდეგ.

რა კივილი ასტეხეს მაშინ ქართველებმა დაწყებული მემარცხენეებიდან მემარჯვენეებამდე, მთავრობის ზომების წინააღმდეგ. რამდენი ლანძღვა იყო მაშინ სომხეთის წინააღმდეგ და როგორ აბრალებდნენ მათ, რომ თავიანთ ექსპედიციით და ძალადობით აიძულეს აჭარლები ამდგარიყვნენ და რომ აჭარაში არავითარი აჯანყება არ მოხდარა.

გავიხსენოთ, რომ დღევანდელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი იყო ერთი დამცველთაგანი აჭარლებისა, რომელიც სცდილობდა ამბოხებისთვის მიეცა ხასიათი შინაურ შეტაკებისა და უთანხმოებისა...

შემდეგ გაზეთი განაგრძობს, რომ საქართველოს თავზე დაჰკრის აჩრდილი აღა მამადხანისა, რომელმაც აიოხრა თბილისი და დაახრჩო საქართველოს დამოუკიდებლობა და მოითხოვს ორ მეზობელ ერთა-შორის სომეხთა და ქართველთა მეგობრობის განმტკიცებას რადგან საქართველოს და სომხეთის ერთი ტანჯვის ბედი აქვს.

ჩვენ ხაადრევათ მიგვაჩნია „მშაკის“ სიხარული საქართველოს უბედურებაზე და საეჭვო ანალოგიები. გაზეთმა უნდა იცოდეს, რომ ქართულ პრესაში ახალციხის ამბების გამო ერთხელაც არ ყოფილა აჭარლების, როგორც ერთი მთელის წინააღმდეგ ამბოხების მოწყობის ბრალდება წამოყენებული, ჩვენ მხოლოდ გვიკვირს საიდან აქვს ამ გაზეთს ასეთი ინფორმაცია? — მაჰმადიანო საქართველოში მოწყობილი ამბოხება აჩენს ოსმალო აგენტების პროვოკატორის ხელს და ორიოდ გადაგვარებულ და მოყიდულ ქართველ მაჰმადიან ბეგებისას. ჩვენ ვიცით, რომ ამ ისტორიაში სომხებიც არიან ჩარეულნი და ითბობენ ხელს, როგორც ყოველთვის, როცა მოღალატეობა იწყება საქართველოს წინააღმდეგ. ჩვენ არც ის დაგვიწყებია რა როლს თამაშობდენ სომხები აჭარლების პროცესში ომის პირველ დღეებში.

ყოველ შემთხვევაში სომხეთი მეგობრობის სურვილზე ლაპარაკის წინ უნდა იგონებდენ სანაინის ამბებს და დენიკინის ისტორიას, რაც შეეხება აღა-მაჰმადხანის გახსენებას, ეს ძველი ამბავია და არც ისე საშიშარი, რომ სომხებმა სიხარული ვერ დაფარონ...

# უკანასკნელი ცნობები

ინგლისის მთავრობამ უბრძანა გენ. დენიკინს დაუყონებლივ დასცალოს სოჭის ოლქი.

დროებითი ზავის გაგრძელების ხელშეკრულებაზე 16 თებერვალს ხელი მოაწერეს. გერმანიამ პროტესტი განაცხადა იმ მუხლზე, რომლითაც გერმანიის რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი პოლონეთს ხელში უნდა გადავიდეს.

გერმანია-ავსტრიის ეროვნულ კრების არჩევნები 16 თებერვალს მოხდა. არჩევნებმა მშვიდათ ჩაიარა, მხოლოდ ვენაში შეტაკება მოხდა.

პოზნანში დიდი ბრძოლაა გერმანელებსა და პოლონელთა შორის.

ბერლინსა და კენიგსბერგს შუა რკინის გზის მოძრაობა შეწყვეტილია.

სევასტოპოლში მოხალისეთა რიცხვი მცირდება.

ხალხი მოუთმენლად ელის საბჭოთა ჯარების ჩამოსვლას.

ისპანეთში სამხრეთ პროვინციებში მუშათა ამბოხება ძლიერდება.

## ინგლისის მთავრობის ბრძანება სოჭის ოლქის დაცლისთვის.

გუშინ ნაშუადღევს 2 საათზე საქართველოს პარლამენტში საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა შემდეგი განცხადება წაიკითხა:

19 თებერვალს ღამით ინგლისის დიპლომატიურ მისიის მეთაურმა ოუკერმა შემდეგი დეპეშა აცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას.

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

თქვენო აღმატებულებავ, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მე დღეს მივიღე დეპეშა მოკავშირეთა უმაღლეს სარდლობისგან კონსტანტინოპოლში, რომელიც იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობამ უბრძანა გენერალ დენიკინს დაუყონებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები სოჭის ოლქიდან.

თქვენო აღმატებულებავ კეთილ ინებეთ ბრძანება მისცეთ საქართველოს ჯარს არ გავიდეს იმ პოზიციებიდან, რომელზედაც ის ახლა დგას.

ამ ცნობას პარლამენტი ტაშით შეხვდა.

სახაზინო თეატრში „ევგენი ონეგინის" წარმოდგენის დროს მეორე მოქმედების შემდეგ თეატრის კომისარმა ა. წუწუნავამ დამსწრე საზოგადოებას აცნობა დენიკინის ჯარის მიერ სოჭის ოლქის დაცლა, რომელიც მოკავშირეთა სარდლობის ბრძანებით მოხდა. დამსწრე საზოგადოება ცხარე ტაშით შეხვდა ცნობას.

# ქრონიკა

ინგლისურმა მისიამ საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი ცნობა გადასცა: რადგან მოხალისეთა ჯარმა დაარღვია დადებული პირობები და საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ უბრძანა გენერალ დენიკინს დაუყონებლივ სოჭის ოლქი დასცალოს.

— **ბოლშევიკები ჩამოიყვანეს თბილისში.** გუშინ თბილისში ჩამოიყვანეს 2500 ბოლშევიკი მათ შორის ბევრი წვრილმანი სახადით არის ავად. ავადმყოფები ბარაკში მოათავსეს მეთაურები კი ციხეში გაგზავნეს.

— **ინგლისში მუშების გაფიცვის შესახებ.** ინგლისის მისია ამით აცხადებს, რომ ბოლშევიკების ცნობა, ვითომც ინგლისში მუშების გაფიცვა ხდებოდეს, სიმართლეს არ შეეფერება.

— **მკვლელობა.** 19 თებერვალს საღამოს 8 საათზე იურიევის ქუჩაზე ბოროტ-მოქმედებმა მოკლეს რკინისგზის კონდუქტორი ვ. ბარდაველიძე. მოკლულის გვამი არამიანის საავადმყოფოში წაიღეს.

— **ძარცვა.** 19 თებერვალს საღამოს 9 საათზე მე-5 ფერმო-ავლაბრის ქუჩაზე № 41 ო. ოკოპოვის ბინაზე შეიჭრნენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი, და სიცოცხლის მუქარით 3,000 მან. და სხ. ძვირფასი ნივთები გაიტაცეს და მიიმალნენ.

— 19 თებერვალს საღამოს 8 საათზე ამაღლების ქუჩაზე № 22 პ. გეგეშიძის ბინაზე რამოდენიმე შეიარაღებულნი პირნი შეიჭრენ და 10,000 მან. ნიკოლოზის ფული და 5,000 მ. სხ. და სხ. ნივთები გაიტაცეს.

— **კრება.** ორშაბათს 24 თებერვალს მიხეილის საავადმყოფოში გაიმართება ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა კრება რაზედაც განიხილეს: „ფერშალთა საკითხი ოფიციალურ შეკითხვის გამო".

— **შემოწირულება გაზ. „საქართველოს" ფონდისთვის** გარდაცვალებულ პორფილე ლოლაძის მემკვიდრეებმა შვილებმა და სიძემ ვიქტორ უზნაძემ. ნაღვლად განსვენებულის გვირგვინისა 15 თუმანი შემოსწირეს ჩვენს გაზეთის ფონდს.

— **„განათლების" საღამო** 28 თებერვალს „განათლების" საზოგადოება მართავს საღამოს ქართულ კლუბში. საღამოს წარმოდგენის შემდეგ გაიმართება მეჯლისი „ევგენი ონიგინიდგან" მონაწილეობას მიიღებენ სახაზინო თეატრის მსახიობნი შემდეგ ცეკვა.

# ვაჭრობა-მრეწველობა

**მასალის უქონლობა თბილისის ქარხნებში.**

თბილისის ქარხნებში ბოლო ხანს უმასალობამ თავი დიდათ იჩინა. მაგალითად ზეთი ჯერ ისევ 135 მანეთადის ფუთი. არ არის შენწინიც, რომელიც ბაზარზე 200 მანეთადაც ძნელად იშოვება. ასევეა ნავთიც, რომლის ფასიც 90—120 მანეთამდე აღწევს.

**მედიცინური დახმარება ქარხნის მუშებისთვის.**

მექარხნეთა საზოგადოება საკუთარ ქარხნების მუშებისთვის აწყობს სამედიცინო დახმარებას ამ საქმისთვის მოწვეულ არიან საუკეთესო ძალები. სხვათა შორის არსდება საკუთარი ამბულატორიაც.

# აძერბეიჯანი

**ნ ა ვ თ ი**

ნავთის ბაზარი ასეთია: ნობელისა (ახალი) 700 მან. და მეტი. ტერ-ავაქოვის—275 მან. მანთაშევისა—320 მან. კასპიის—850 მან. უბრალო ნავთი—340 მანეთი.

**სად. აჯიქაბული**

სადგურ აჯიქაბულზე დეპეშებს აღარ იღებენ კარანდაშების უქონლობის გამო.

**ს ა ხ ა დ ი**

9—10 თებერვლამდე ბაქოში შავი სახადით ავად გამხდარა 227, მოსაბრუნი სახადით—2092, შავ სახადიანების საერთო რიცხვია 3008. მათგან საავადმყოფოებში წევს 2,900 კაცი.

**საქონლის შემოზიდვა უკანტროლოდ**

დელიჟანის ხეობით (ყაზახი) დიდძალი საქონელი შემოდის უკანტროლოდ. მთავრობა არავითარ ხარჯს არ ახდევინებს, ამის გამო განჯის გუბერნიის სასურსათო რწმუნებულმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ყაზახში მანაპირო საბაჟო გახსნას.

# სომხეთი

**სომეხთა ლტოლვილნი ბათუმში**

სტამბოლიდან ბათუმში 300 სომეხი ლტოლვილი ჩამოვიდა. ამას გარდა ბათუმში ამერიკელთა მისია ინახავს 500 სომეხ ლტოლვილს.

**სურსათი სომხეთისათვის**

ჯემს იროლი იუწყება, რომ ბათუმში უკრაინიდან მიღებულია 10 ვაგონი ხორბალი და შემდეგშიც სამ დღეში 10 ვაგონი ხორბალი გამოეგზავნება უკრაინიდან სომხეთის დამშეულ მოსახლეობას.

**ა. ხატისოვი**

ქაჩაზნუნის თბილისში წამოსვლის შემდეგ მის თანამდებობას ასრულებს ა. ხატისოვი, რომელიც იმავე დროს შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი უჭირავს.

**შიმშილი სომხეთში**

სომხურ გაზეთების ცნობით, იგდირის მოსახლეობა დიდ სიმშილს განიცდის. მათივე სიტყვით სრულიად სომხეთში შიმშილისაგან დღეში სამი ათასი კაცი კვდება.

**სურსათი სომხეთისათვის.**

ინგლისის მისიამ ამიერ-კავკასიაში ინგლისის მთავრობას სთხოვა, გამოუგზავნონ 500,000 გირ. სტერლ. სომხეთისთვის სურსათის საყიდლად.

**სომეხ-ლტოლვილებისთვის.**

ინგლისის მისიას ატყობინებენ, რომ ამერიკიდან გამოვიდნენ 200 ინსტრუქტორი, სომეხ-ლტოლვილთა საქმის მოსაგვარებლად.

**ნავთი სომხეთისათვის.**

ამ დღეებში ინგლისის სარდლობის ინიციატივით ბაქოდან სომხეთში 130 ცისტერნ ნავთი გადუზიდავთ.

# არჩევნების შედეგი პროვინციაში

| | ს.-დ. 1 | ურ.-დ. 2 | ს.-რ. 3 | დაშნ. 4 | ს.-ფედ. 5 | რ.-დ. 7 | ერ. პ. 8 | მ. პ. 9 | უპარ. 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქ. სიღნაღი | 2314 | 126 | 1 | 227 | 92 | 134 | — | — | 1 |
| ქ. ლანჩხუთი | 1929 | 21 | 1 | — | 177 | — | 1 | — | 2 |
| ქ. სურამი | 994 | 106 | 5 | 18 | 17 | — | — | — | 13 |
| თიანეთის მ. | 5729 | 384 | 4 | — | 1798 | 19 | 14 | 4 | 0 |
| ლეჩხუმის მ. | 7883 | 1008 | 31 | 1 | 1207 | — | 8 | 44 | 6 |

# საქართველოს პარლამენტი

**სასწრაფო სხდომა.**

სამშაბათს, 17 თებერვალს, ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა საქართველოს პარლამენტის სასწრაფო სხდომა. ამ სხდომისთვის გამოწვეული იყო პროვინციაში მყოფი პარლამენტის წევრები, რომელნიც სამშაბათისთვის უკვე თბილისში იყვნენ. განსახილველი იყო დღევანდელი პოლიტიკური მომენტის ვითარება.

კრება გაიხსნა დღის 12 ს. და 10 წ. ბ. ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარემ პარლამენტის შეკრების მიზნის განმარტების შემდეგ სიტყვა მისცა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც ვრცლად დაახასიათა დღევანდელი მომენტი.

**ნ. ჟორდანიას სიტყვა.**

რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ, განვლო ორმა წელიწადმა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ მრავალი ცვლილება განიცადა, დიდმა ტალღებმა გადაიარეს მის თავზე, რომელნიც მას დაღუპვას უქადიდენ. მაგრამ აქ მოიძებნა ისეთი შეკავშირებული და ცნობიერი ელემენტები, რომელთაც თავიდანვე აიღეს სწორი ხაზი და შეეცადნენ ხალხი მშვიდობიან და უვნებელ გზაზე გაეყვანათ. ეს მიზანი შესრულებულ იქმნა და დღეს, ორი წლის შემდეგ ქართველი ხალხი უკვე სდგას იმ ნიადაგზე, საიდანაც იწყება ერის ეკონომიურ-პოლიტიკური განვითარება. ფაქტიურად დღეს ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური კალაპოტი ჩვენი ცხოვრებისა, საჭიროა მხოლოდ მას მიეცეს იურიდიული ფორმა, იურიდიული სანქცია და ამ საქმეს შეასრულებს დამფუძნებელი კრება. ქართველი ხალხის ცხოვრება სდგება დიდი რევოლიუციის მიერ მომზადებულ და დამკვიდრებულ ნიადაგზე და ეს ნიადაგი შეურყეველია და მას ვერ შეარყევს ვერავითარი ძალა.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ თუ ასე განმტკიცდა მდგომარეობა საქართველოს ცენტრში, ესე არ ხდება საქართველოს განაპირა კუთხეებში. სხვადასხვა ჯგუფების იმპერიალისტური ზრახვანი ვრცელდება ჩვენი განაპირა კუთხეების ადგილებზე. მათ იციან რომ ჩვენი მიზანი ამ ადგილებში ეკონომიური განვითარების და დემოკრატიული წყობილების შეტანა და განმტკიცებაა. ჩვენ მტრებს სურთ ხელი შეუშალონ ჩვენს მიზნებს ერთის მხრით და მეორეს მხრივ დასტოვნონ საქართველოს კარები ღია და დაიყავონ ჩვენს ირგვლივ ყოველივე სტრატეგიული პუნქტები. ჩვენი მიზანი არაა იმპერიალისტური მიზნები, ჩვენ ამ განაპირა ადგილებში არ ვსპობთ კულტურას, ჩვენ მათ მივანიჭეთ ავტონომია, მაგრამ ეს უარესად აბელებს ჩვენს მტრებს, რომელნიც სცდილობენ ჩვენი რესპუბლიკის მთლიანობის დანგრევას. ორივ მხრივ შემოსული მტერი—დენიკინი და ოსმალეთის ემისარები ამას ლამობენ, მაგრამ ჩვენი მთავრობა სცდილობს აიცდინოს ეს საშინელება ყოველის მხრიდან, საშვიდობოს გაიყვანოს ქართველი დემოკრატია და მოახდინოს ამ ამბების სრული ლიკვიდაცია.

კერძოთ, როგორც მოგეხსენებათ სოჭის ოლქი ჩვენ დროებით გვქავა. ჩვენ არ გვსურდა რეაქციონური მეზობელი გვყოლოდა და საქმის გამორკვევამდე გვქავა ის ადგილები, რომ შემდეგ ყუბანის ცოტად თუ ბევრად დემოკრატიულ მთავრობასთან შეთანხმებით გადაგვეწყვიტა ამ ოლქის საკითხი. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ბელგის დაცლა და ინგლისიც გვარწმუნებდა, რომ ამ მხრივ რაიმე საშიშროებას ალაგი არ ექნებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა დენიკინი მაინც შემოიჭრა ამ ოლქში. დაიბადა ერთგვარი ეჭვი მოკავშირეთა პოლიტიკის შესახებ და როგორც მოგეხსენებათ დემოკრატიამ მოითხოვა საქმის გარკვევა. მე მაშინ განვაცხადე, რომ ეს გაუგებრობა არის, რომ აქ დენიკინის

## ზაქარია ფალიაშვილის

**ო პ ე რ ა**

## „აბესალომ და ეთერი"

(გაგრძელება)

წინა წერილში აღვნიშნე, რომ „აბესალომის" მუსიკა ეპიურ დარგის შინაარს უფრო შეესაბამება—მეთქი.

ამით იმის თქმა არ მინდა, რომ დიდიელი, სასიყვარულო ელემენტები ამ მუსიკის საფუძველში გამოიყოფილებისა არ იყოს. ამ მხრით ბევრი ლამაზი და გრძნობიერი ჰანგია „აბესალომში". ამის შესახებ ქვემოდ უფრო ვრცლად მექნება ნათქვამი.

მაგრამ მთავარი ყურადღებას,—არამც თუ ჩვეულებრივი მსმენელისას,—(როგორც დავინახე რიცხვს მე ჩემი თავს ვაკუთვნებ) არამედ თვით მუსიკის სპეციალისტებისასაც—„აბესალომის" შესანიშნავი ხორული ნომრები და ანსამბლები იქცევს,—თვით ფარდების (ტესიტურა) სიმაღლე, როგორც ვოკალურისა, ისე საორკესტრო ჰანგებისა,—დიდ ორკესტრის ძლიერი ხმოვანება; ამის გარდა,—თითქოს საზარო სიკრავეთ გამდიდრებული მონაწილეობით—მისცეს „აბესალომის" მუსიკას საეპოსო მოქმედების შესაბამ იერით.

„აბესალომის" მუსიკა რთული ჰარმონიზაციით, ვოკალური და ინსტრუმენტალური ნაწილები თანაბარის ძლიერებისაა, მეტყველი და ერთი-მეორის შემვსები.—

ბ-ნი ფალიაშვილს დიდი სკოლა აქვს გავლილი რუსეთის მემუსიკეთა. და მათი გავლენა მას განსაკუთრებით საორკესტრო ნაწილში ეტყობა. როგორც ვიცით, რუსეთში ორკესტრის ჯადოსნად რიმსკი-კორსაკოვი ითვლებოდა,—ეს რუსთა ვაგნერი. რაღა თქმა უნდა, თავის პირმშო ნაწარმოების შექმნის დროს—ბ-ნი ფალიაშვილს უნდა ესარგებლა ამ სადი და ამასთანავე საპატიო ტრადიციებით, რომელთა წიაღში იზრდებოდა და ვითარდებოდა მისი ნიჭი.—

ამ მხრით ბ-ნ ფალიაშვილის მუსიკას არა ეძახის რა. მისი მუსიკალური ნაწერი უბრალო ორიგინალობა როდია,—არამედ იგი ქმნის ნამდვილს. საორკესტრო ფერადები მდიდარი აქვს და ცხოველმყოფელი, საზოგადოდ კი, რაოდენობით რომ აგროვს-დავწონოთ,—როგორც ვოკალური, ისე საორკესტრო ჰანგები ამ ოპერაში დიდის სიუხვით არის დაგროვილი. რამდენისამე სპეციალისტთან მქონდა საუბარი ამ ნაწარმოების შესახებ ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ „აბესალომის" სამუსიკო მასალა,—სულ ცოტა,—ორ კარგა მოზრდილ ოპერას გასწვდებოდა.

ფორმის მხრით—„აბესალომში" დაცულია ყოველი საოპერო მუსიკალური ტრადიცია: არია, დუეტი, კვარტეტი, კვინტეტი, ანსამბლი და სხვ. მრავალადაა და ერთი-მეორეს სცვლის შეხამებით.

რასაკვირველია, ბ-ნ ფალიაშვილს არ დავიწყებია ორკესტრის ლეიტ-მოტივი, ვაგნერის ერთი მთავარი გამოგონებათაგანი—ლეიტ-მოტივი. თითქმის ყველა მოქმედ პირს თავისი ლეიტ-მოტივი აქვს, რომელიც ხასიათისა და ნიშნეულობის [illegible] ორკესტრში გაისმის ხოლმე.

დრამის დასაწყის წინ უძღვის პატარა საორკესტრო შესავალი. პირველი ნაწილი ამ პრელუდიისა—წმინდა ქართული საეკლესიო ჰანგია. ცოტა არ იყოს „შენ გიგალობს" მოგაგონებთ. მეორე ნაწილი—ლეიტ-მოტივია აბესალომის მიერ ეთერისათვის დანის გადაცემის მომენტისა,—ე. ი. მათი სიყვარულის ნასკვისა. ეს ლეიტ-მოტივი რამდენჯერმე გვხვდება დრამის მსვლელობის დროს.

ამავე პრელუდიით თავდება ოპერა.

პირველ მოქმედების პირველი სურათი, რომელიც ტყეშია, იწყება კულისებში მყოფ ხორის ხალხური სიმღერით—„ავთანდილ გადინადირა"—თი, რომელსაც ხორო უაკომპანემენტოთ მღერის.

ხორო რომ გათავდება—სცენაზე მყოფი ეთერი (ლირ. სოპრ.)—(ძროხასა მწყემსობს) იწყებს თავის ბედშავობის შესახებ ჩივილს. მისი არია—ტირილის კილოზეა დაწერილი, სადა კილოსია და ქართულის იერისა.

ამავე სურათში აბესალომს (ლირიკ. ტენორი) (სანადიროდ წასულს) აქვს ხმა-ტკბილი არია—თვისი ხასიათით იგი მელოდიურია და კახურ „ჰარალოს" მოგვაგონებს. ეს „ჰარალო". ბავშვობისას გამიგონია. ახლა მას არავინ მღერის. მხოლოდ გადაჭრით იმის თქმა, რომ აბესალომის არია ამ მელოდიიდან იყოს გადმოკეთებული—არ შემიძლიან, რადგანაც ისეთ ჰარმონიზაციით არის ასხმული, რომ მხოლოდ იერს თუ მიამსგავსებთ. არია სასიამოვნო რამ არას, ლირიული, ნაზგრძნობის მჩენი.

აქვე ჩვენ მოვისმენთ მურმანის (ბარიტ.) გესლიან რეპლიკას—აბესალომის უცაბედ სიყვარულის შესახებ და აბესალომის და ეთერის მკვირცხლი ხასიათის დუეტს,—გურულ კილოზე აგებულს. მე მგონია, როგორც თემა, ისე მისი განვითარება—დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფია თვით კომპოზიტორისა.

მეორე სურათი ეთერის დედინაცვლის ეზოში სწარმოებს. იგი ეთერისა და დედინაცვლის ჰანგოვან სარეჩიტატივო დიალოგით იწყება. ამის შემდეგ კვლავ განმეორდება ეთერის სატირალი არია. ამას ზედ გადაებმის ორკესტრში აღძრული ცხენის ფეხის ხმაურობა და შემოდის აბესალომი. მათ შორის მცირე დიალოგია და მერე დუეტი, რომლის დროსაც აბესალომი სიყვარულის საწინდრად ეთერს ოქროს დანას გადასცემს. აი ამ დროს ორკესტრშა აღინიშნება—მათი სიყვარულის ლეიტ-მოტივი, რომლის შესახებ უკვე ზევით ვსთქვი. მეორე სურათი პირველ სურათის მკვირცხლ დუეტით თავდება.

—

მეორე მოქმედებას წინ უძღვის პაწია საორკესტრო შესავალი. სცენა აბიო-მეფის საზეიმო დარბაზს წარმოადგენს. შემოდიან აბიო-მეფე (ბანი) და ნათელა—(მეც სოპრ.) დედოფალი. (აბესალომის მშობლები). დარბაზში შეკრებილნი ადიდებენ მეფე-დედოფალს.—დიდება ხოროსა და ორკესტრის შეერთებული ჰანგია. ძლიერი ზეიმური ხასიათისაა. როგორც საანსამბლო ნომერი შესანიშნავია. რაც შეეხება თვით მუსიკის ხასიათს, იგი უფრო ეკლექტიური მუსიკაა, ვიდრე ქართული. ცოტა არ იყოს, რუსული „სლავას" ზედგავლენა ეტყობა. სპეციალისტთა აზრით ეს დიდება ერთი თვალსაჩინო ნომერთაგანია ზოგად მუსიკალურ თვალსაზრისით.

ამის შემდეგ მოისმის კულისებიდან ვოლტორნის ხმა—აღმოსავლეთურის იერისა. ამას აჰყვება ფანფარები (საყვირი) ვოლტორნა და საყვირები გადაეხლართებიან ერთმანეთს, მერე ჩაებმის თვით ორკესტრი და ყველა ეს შეერთებული მგზავრულის (მარში) ჰანგად გადიქცევა. როცა საკრავების ხმა შეწყდება,—კულისებიდან მოისმის მაყრული, რომელსაც მღერის ხორო უორკესტროთ.—მხოლოდ მაყრულის მეორე ნაწილში, როდესაც მეფე-პატარძალი (აბესალომ და ეთერი) ამალით უკვე სცენაზე შემოვა,—ხოროს ორკესტრიც უერთდება და აწვითარებს იმავე ჰანგს. მთელი ეს მუსიკა,—ლიტანიის სახისაა,—გრანდიოზულ გამომეტყველებისაა და, როგორც მეტად რთული ნომერი, დიდ ხოროს და ორკესტრს ჰსაჭიროებს.

ამას მოსდევს აბიო-მეფის მელოდიური რეჩიტატივი-ფშაურ კილოს იერისა—და კვლავ დიდება—მეფე-პატარძლისადმი მიმართული. ეს დიდება მაყრულითვე თავდება.

ამ დროს იწყება ეგრედ წოდებული „ოჯახური კვინტეტი", რომელსაც მღერიან: აბესალომ, ეთერი, აბიომეფე, ნათელა და მარიხ-ვარსკვლავი (აბესალომის და—კოლორატ. სოპრ.) თემა ამ კვინტეტისა ნარევი ხასიათისაა—აღმოსავლეთურ-ქართულთა. ამავე დროს ორკესტრში გაისმის ლეიტ-მოტივი დანის გადაცემისა, ესე იგი ნიშანი ფიცისა.

იმართება ნადიმი. გაისმის ძახილი—თამადა მეფეო—თამადა. მეფე თამადობას თარანდუხ-სპასალარს (ტენორი) ულოცავს. თარანდუხ მცირე შესხმის შემდეგ, რომელსაც პატარა საქლესიო იერის მრავალჟამიერ მოსდევს,—იწყებს კახურ „ჩაკრულოს".

„ჩაკრულო" ერთი უძლიერესი და ურთულესი ჰანგია. მისი სრული იერის შესანარჩუნებლად კომპოზიტორი იძულებული იყო დაეწერა იგი იმავე ფარდებში (ტესიტურა) როგორც იმღერება ხოლმე კახეთში.

ჰანგი თანდათან მაღლა-მაღლა მიდის, იზრდება, ბუმბერაზდება და პირველი და მოძახილი ხმა მჭახე ზოლივით შეიჭედება ხოლმე დარბაისელ ბანთა გუგუნში.

ეს ჰანგი სუფრაზე მხოლოდ ნადიმის შუაგულს ითქმის ხოლმე, როდესაც მეინახეთა აღტყინება მწვერვალდება, ე. ი. როცა კახური გრძელი მრავალჟამიერი უკვე მინელებულია. ის-კი ყველას მოეხსენება, რა ზავთიანი მომენტია ეს მომენტი. და თუ მრავალჟამიერი მოითხოვს მომღერალთაგან ძალოვან ხმისშეკიდებას,—განსაკუთრებით ჰანგის მეორედ მოტრიალებისას,—„ჩაკრულო" საჭიროებს ხმის ძალთა მაქსიმუმამდე მიღწევას.—ერთი სიტყვით, ჰერი უნდა ზანზარებდეს და კედლები დრეკას იწყებდეს...

ბ. ფალიაშვილს ზედმიწევნით აურთმევია გეზი ამ ჰანგის ხასიათისათვის. არავითარი ცვლილება არ შეუტანია მის ხმათა-წყობაში, შეუმუშავებია მხოლოდ საორკესტრო ნაწილი და ასე მთლიანი ზოლმტაც შთაბეჭდილებას დასტოვებს, თუ რასაკვირველია, მომღერალებმა დასძლიეს მისი ტეხნიკური სირთულე და ტესიტურა.

„ჩაკრულის" შემდეგ საყურადღებოა მარიხ-ვარსკვლავის არია,—აღმოსავლეთურის ხასიათისა, რომელსაც გავლენა ეტყობა ბოროდინის „კნიაზიგორში" პოლოვეცთა მომღერალ ქალის არიისა. ამ არიას დიდის მოხდენილობით ეკილოკავება ქნარის (არფა) აკომპანიმენტი.

ამას ზედ მოჰყვება მშვენიერი, ნარნარი, მზიური, სიცოცხლით სავსე—იმავ მარიხ-ვარსკვლავის კანცონეტა „საყვარელო გულისა",—გურულ კილოზე დაწერილი.

მეორე მოქმედება თავდება დიდის ბალეტით. რომლის პირველი და მესამე ნაწილი ლეკურისაგან შესდგება, ხოლო მეორე ნაწილი აღმოსავლეთურ იერის საცეკვაო ჰანგისაგან—უზუნდარა მირზაიასებური ხასიათისა.

ეს საბალეტო ნომერი შესანიშნავია. ლეკური, რაღა თქმა უნდა, შესაფერის ტემპით არის დაწერილი და მშვენიერი მელოდიებით და სხვადასხვა ვარიაციებით მოჩუქურთმებული.—ასევეა მეორე ნაწილიც; მხოლოდ იგი უფრო დინჯია და სადა—ამასთანავე ეგზოტიური.

ბალეტისათვის კომპოზიტორს ორკესტრში შეუტანია დოლი, დაირა და დიმპლიპიტო, თარის მაგივრად კი მანდოლინა.

**ინენი.**

(დასასრული იქნება)

**შეცდომის გასწორება:** წინა წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომებია: მეორე სვეტის მე-15 სტრ. ქვევიდან დაბეჭდილია „ლიაეს" უნდა იყოს: „ლილეს". მე 3 სვ. მე-2 სტრ. ქვევ. დაბეჭდილია: „თვითგანვითარებაში" უნდა იყოს: „თვის განვითარებაში". მე-7 სვ. მე-5 სტრ. ქვევ. დაბეჭდილია: „ტერმინთა" უნდა იყოს: „ტემათა".

*) იხ. 39 №-ში.

# ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

6.

არც ბარძიმ, არც სხვა თანამშრომლებს მეფისა გული არ უსვენებდათ, მსწრაფლ სამოქმედოდ იწვევდა გრძნობა, გადახალისდნენ, რაკი ნახეს, აშოტი მედგრად დაადგა სამოქმედო გზას, საბრძოლველ სავალს. გაამრავლკეცეს თავისი უნარი. ბარძიმი სწრაფლ გარდიქმნა მბრძანებელ სარდლად. ეხლა მას ენანებოდა თუნდ ერთი წუთი დაეკარგა და საჭირო მოქმედებისთვის არ შეელივნა მთელი

ავანტიურასთან გვაქვს საქმე, რომ აქ ინგლისი არაფერ შუაშია. ეხლა მე შემიძლიან მეტი სიმტკიცით ვსთქვა ეს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს საკმაო რწმუნებულება ინგლისის სარდლობიდან, რომ აქ ინგლისი შემცდარი დარჩა მოხალისეთაგან, რომელთაც გასტეხეს თავისი სიტყვა. მე არ მენახა ბ. უოკერი, მაგრამ ვიცოდი, რასაც იტყოდა და მართლაც მისი განმარტება ამ მხრივ ჩემთვის გასაგები და ნათელი იყო.

მეორე საქმე, რომელიც ჩვენს წინ სდგას—ეს არის ბათუმ-ახალციხის ამბები. რამდენიმე დღის წინეთ იქ შესდგა მთავრობა, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა, რომლის მიზანია ჩამოაშოროს კავკასიას და ოსმალეთს შეუერთოს სამუსულმანო ოლქები, შექმნას საქართველოშიც უთანხმოება, რომლის წყალობითაც შეიძლება თავისი მიზნებს განხორციელება. ჩვენ ვიცით, რომ ახალციხის ამბები მათი აგენტების და ასკერების წყალობით მოხდა. ასეთ შეთანხმებით მოქმედობენ ჩვენს წინააღმდეგ მოხალისენი და მეამბოხენი—ოსმალეთის აგენტები. მაგრამ საჭიროა მობილიზაცია ყოველი ძალებისა, რომ ეს ორი ფრონტი გავამაგროთ და მტერი მოვიგერიოთ. თუ დენიკინი არ დასცლის ჩვენს ადგილებს, ჩვენ ჩვენს ისტორიულ სტრატეგიულ ადგილებს ამ რაიონებში ძალით დავიპყრობთ და ზედ გავმაგრდებით, ვინაიდან გაგრის ჭიშკარი, ეს საქართველოს ისტორიული წერტილია, სტრატეგიული და აუცილებელი ადგილი. მიღებულია ზომები, ახალციხის ამბების აღმოსაფხვრელადაც. ამგვარად ჩვენის რწმენით შინაური სიმტკიცე და სოლიდარობა—მეზობლებთან განამტკიცებს და უზრუნველყოფს ჩვენს არსებობას.

**რ. არსენიძე.** (ს.-დ.) ვრცელ სიტყვაში გამოსთქვამს იმ აზრს, რომ რეაქცია ყოველმხრიდან გზვევა ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოს და ლამობს მის დამხობას, მაგრამ დემოკრატია, რომელმაც შექმნა ეს ძალა, შესძლებს რომ გაუმკლავდეს ყოველგვარ მტერს და შეირჩინოს თავისუფლება და დამოუკიდებელი ცხოვრება.

შემდეგ ლაპარაკობს სპირდონ კედია, რომლის სიტყვა ცალკე დაიბეჭდება.

**გ. ვეშაპელი.** (დ. ნ.-დ.) აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას საგარეო და შინაურ საქმეებში. ის მოითხოვს გარკვეული იქნეს ჩვენი საგარეო პოლიტიკა და ყოველი ღონე მიმართული იქნეს იმისკენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველზე დასდოს პირველი ქვა.

**ბარხუდაროვი.** (მუს.) ეხება ახალციხის ამბებს და აღნიშნავს მთავრობის აგენტების შემცდარ პოლიტიკას ამ მაზრაში.

**ნოე რამიშვილი.** (შინ. საქ. მინ.) ეკამათება ბარხუდაროვს და ახალციხის ამბებში ბრალს სდებს ოსმალთა აგენტებს და ასკერებს, რომელთაც ამბოხება მოაწყვეს. ბ. რამიშვილი ასახელებს პირებს და სახელებს, რომელნიც აქტიურად გამოდიან ახალციხეში, ამ მაზრის ჩამოშორების იდეით, მაგრამ მთავრობას იმედი აქვს, რომ ამბოხება აღმოფხვრილ იქნება და ხალხი დაინახავს ჭეშმარიტებას და კიდევაც დააფასებს მას.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

## ინგლისური პრესა.

**ხელის მოწერა დროებით ზავის გაგრძელების ხელშეკრულობაზე.**

დროებითი ზავის გაგრძელების ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თებერვლის 16. გერმანიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა განსაკუთრებით ხელშეკრულების იმ მუხლზე, რომლის ძალით გერმანიამ რამოდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი პოლონეთს უნდა გადასცეს. რაც შეეხება დროებითი ზავის იმ პირობებს, რომელიც გერმანიას არ შეუსრულებია. გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ გერმანია არ შეასრულებს იმ პირობებს, რომელიც არ შეეფერება ვილსონის პრინციპებს.

**„გემი კასტილია“**

გემი „კასტილია“, რომელიც ზღვაში კლდეზე გაირიყა, არ დაზიანებულა. ყველა ზედ მყოფნი უვნებლად გადარჩა.

**მოკავშირეთა ფლოტის ზარალი ომში.**

ომის განმავლობაში საფრანგეთის მა დაჰკარგა 4 ჯავშნოსანი, 4 ჯავშნიანი კრეის., 1 კრეის., 4 გამანადგურებელი, 8 ნაღმოს., 14 წყალქვეშა, 62 შეიარაღებული ტრალერი, 5 დამხმარე კრეისერი და 12 მცირე სამხედრო ხომალდი, სულ 110000 ტონნის წყალწყვისა. ინგლისის ფლოტმა დაკარგა 550,000 ტონნის წყალწყვისა, გერმანიის ფლოტმა 250,000 წყალწყვისა, იტალიის ფლოტმა 75,000 ტონნის წყალწყვისა, ავსტრიის ფლოტმა 65,000 ტონნის წყალწყვისა, შეერთებულ შტატების ფლოტმა 17,500 ტონნის წყალწყვისა. იანვრის 31-მდე სამხედრო საჭიროებებზე საფრანგეთს დაუხარჯავს 7,280,000,000 ხტერლინგი აქედან 720 მილიონი გადასახადებით იქნა დაფარული, 7,500 მილიონი კი სამხედრო სესხებით.

**ინგლისის დამქ. მუშ. შემარიგებელ ეროვ. სამრეწ. კონფერენცია.**

ოფიციალურად იუწყებიან, რომ თებერვლის 27 შესდგება ინგლისის დამქირავებელთა და მუშების შემარიგებელი ეროვნული სამრეწველო კონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნება სადავო საკითხები შრომის ხელფასის, საათების, პირობების და აგრეთვე მოგების შესახებ, კონფერენციის სხდომები საჯარო იქნება. ამ ამბავს კმაყოფილებით შეხვდა უკიდურესი წრეებიც კი.

მუშათა კანონმდებლობის საერთაშორისო კომისიის წევრნი შეთანხმდენ, რომ შრომის წლიურ კონფერენციაზე თითო მთავრობამ ორ-ორი დელეგატი გაგზავნოს და თითო დელეგატი მუშებმა და დამქირავებლებმა.

**გრ. ბროკფორდ რანტცაუს გადადგომა.**

გაზეთები იუწყებიან, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ბროკფორდ რანტცაუ თანამდებობიდან გადადგა, რადგან არ ეთანხმებოდა დროებითი ზავის ახალ პირობებს. მიუხედავათ იმისა, რომ რანტცაუსა და კაბინეტის უმრავლესობის შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო. მთავრობის აზრით რანტცაუს არ ქონდა საკმარ სი საბუთი გადამდგარიყო თანამდებობიდან. რანტცაუმ განაცხადა, რომ დარჩება ადგილზე და განაგრძობს თავის თანამდებობის აღსრულებას.

**გერმანია-ავსტრიის ეროვნულ კრების არჩევნები.**

გერმანია-ავსტრიის ეროვნულ კრების არჩევნები 16 თებერვალს მოხდა. დემ. ყველგან გაიმარჯვეს: არჩევნების შედეგი საბოლოოთ არაა გამორკვეული. 160 მანდატიდან სოც.-დემ. უკვე აქვთ 82 მანდატი. ვენაში აირჩიეს 32 სოც.-დემ. 11 ქრისტიანი, სოციალისტი, 2 გერმანელი ნაციონალისტი, 1 მემარჯვენე დემოკრატი, 1 ჩეხელი და 1 [illegible]. ამათ რიცხვში 6 ქალია. არჩევნები წესიერად და მშვიდობიანად ჩატარდა. მხოლოდ ვენაში მოხდა მცირე შეტაკება. არჩევნებში მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქალები.

გაზეთები ესალმიან გერმანია-ავსტრიის ეროვნულ კრილოსის არჩევნებში სოც.-დემ. გამარჯვების შესახებ და ამბობენ, რომ ეს მდგომარეობა დამამტკიცებელია გერმანიასთან შეერთების სურვილისა.

**ლიბკნეხტისა და ლიუქსენბურგის სიკვდილის საქმის განხილვა.**

ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მოკვლის საქმეს განიხილავს გვარდიის დივიზიის სასამართლო. საქმის განსახილველად დაუშვეს ცენტრალურ საბჭოს 1 წარმომადგენელი და გროსბერლინის საბჭოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის ორი წარმომადგენელი, რომ ბოლოს არ აღიძრას საკითხი საქმის უკანონოთ წაყვანის შესახებ. მოწვეულ წარმომადგენლებმა განაცხადეს, (დამახინჯებულია). გაზეთები მოითხოვენ საქმის დაწვრილებით განხილვას.

**კიევი**, თებ. 12, დირექტორიამ ევაკუაციის დროს თან წაიღო 4 მილიონი მანათი. „კიევის კომუნისტის“ ცნობით, ბესარაბიაში მღელვარებაა რუმინელების წინააღმდეგ, რომელნიც გლეხებს სცარცვავენ. კიევში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში სდგება. მთავრობის დაწესებულებებმა მოქმედება დაიწყო.

**ადესა**, ოდესაში საბჭოთა მთავრობის მიერ კიევის დაჭერის შემდეგ, არეულობა დაიწყო. მრავალი ქალაქს სტოვებს იმის შიშით, რომ ოდესასაც საბჭოთა მთავრობა დაიჭერს.

**უკრაინა** უკრაინის საბჭოთა მთავრობის ჯარის შემოტევის გამო რანგეთის ჯარის შტაბი იძულებული შეიქნა სადგურ უდელნაიდან დაბრუნებულიყო უკანვე ოდესაში. უკანვე იგზავნებიან ბრაზულსა და ვონიარკოს შუა მდგარი რაზმები.

**ნაუენი**, თებ. 17 ვეიმარში მთავრობამ მოიწვია პარტიების ბელადები სათათბიროთ. შეიდემანმა ერცბერგს დეპეშა გაუგზავნა თხოვნით ხელი მოაწეროს მოკავშირეების დროებითი ზავის პირობების გაგრძელების ვადას და გადასცეს მარშალ ფოშს წერილობითი განცხადება, რომ გერმანია დაუძლურების გამო ყოველ ღონეს ხმარობდა აესრულებია დროებითი ზავის პირობები. ეხლა კი ჰპირდება აღასრულოს ყველა პუნქტები, რომლის ასრულება აქამდე არ ხერხდებოდა. სპარტაკელები ყურადღებას არ აქცევენ ბელგიის იქ მდგარ ჯარს და იმუქრებიან ლიუსბურგის ბურჟუაზიის წინააღმდეგ აჯანყებით. დროებითი ზავის ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ გერმანელ მეზღვაურებს მოკავშირეები მაშინ გაამევებენ, თუ დამტკიცებული იქნება რომ ისინი ბოლშევიკურ აგიტაციას ეწეოდენ. გერმანიის მთავრობას ევალება ყოველგვარი ზომები მიიღოს გერმანელ მეზღვაურთა შორის ბოლშევიკურ მოძრაობის ჩასაქრობად.

**კიევი.** თებერვლის 14. საბჭოს სხდომაზე პიატაკოვმა სთქვა: რუმინიაში გლეხთა აჯანყება ხდება. უნგრეთში, ჯარისკაცთა 40—80 პროცენტი უნგრეთის კომუნისტურ პარტიას მიყვება.

**კარნაფო**, თებ. 18. ბერლინიდან იუწყებიან, რომ კომიტეტმა რომელიც დანიშნულია ლიბკნეხტის მოკვლის შესახებ საქმის საგამოძიებლად, მთავრობას განუცხადა, რომ ის უარს ამბობს გასაგრძელ გამოძიება, სანამ იმ ოფიცრებს და ჯარისკაცებს, რომელნიც კომიტეტს მიაჩნია დამნაშავეთ არ დაატყვევებენ და არ გადასცემენ სამოქალაქო სასამართლოს.

**ბერლინი**, თებ. 13. გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგი“ იუწყება კილში სპარტაკელების გამოსვლების დაწვრილებით ცნობებს. ყველა თეატრი, რესტორანი და კაფები დახურულია. კომუნისტებმა ქალაქის თავდაცვის რაზმს იარაღი აყარეს. გაიგზავნა საზღვაო არტილერია, რომელმაც მთავრობის დაწესებულებები დაიჭირა. სპარტაკელებთან შეტაკება ხდება.

**ბერნი**, თებ. 12. ათინის სააგენტო იუწყება, რომ სტამბოლში საბერძნეთის ჯარი შევიდა.

დამფუძნებელ კრებაზე ერცბერგმა განაცხადა, რომ ყოველგვარი ცდა შეემსუბუქებია დროებითი ზავის პირობები, უნაყოფოთ იყო. გენერალ ფოშის თარჯიმანმა განაცხადა, რომ ვილსონი ახალ პირობებს მხარს უჭერს.

**№-ს არმიის შტაბი.**

კუნგურის მიმართულებით, ველიშნოსთან მოწინააღმდე დამარცხდა.

**პერმი.** პერმის მიმართულებით სოფელ ოშიცკოესთან ჩვენი შეტევა გრძელდება.

**იამბურგი**, თებ. 18. წითელარმიელებმა ბრძოლით დაიჭირეს სოფელი ფიტინკა. წამოიყვანეს 100 ტყვე. ჩვენი შეტევა გრძელდება.

**კიევი**, თებ. ხელთ ვიგდეთ რადიო, სადაც პეტლიურა გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას, რომ მოკავშირეები არ უწევენ მას დახმარებას. მზადდება მატარებელი სურსათით პეტროგრადში და მოსკოვში გასაგზავნათ, საჩუქრათ კიევის მუშებისა და გლეხებისაგან. მზადდება სურსათი ველიკოროსიაში გასაგზავნათ.

## ფრანგული პრესა

**„დიდი ხარტია“.**

ნიუ-იორკიდან იუწყებიან: საზავო უწყების სეკრეტარმა განაცხადა: გუშინდელი დღე ოქროს დღეა მსოფლიო ისტორიაში, რადგანაც 14 ერი შეთანხმდა იმ ხელშეკრულების შესახებ, რომლის ძალითაც „დიდი ხარტია“ და დამოუკიდებლობის დეკლარაცია უკვდავ აქტის მხოლოდ წინამორბედია, რომელიც ბედნიერებას მოუტანს კაცობრიობის მომავალ თაობას.

**სამხ. სავაჭრო საბჭო და საქონლის მიმოზიდვა**

სამხედრო სავაჭრო საბჭო ვაშინგტონში ამ ჟამად ინგლისის და იტალიის გარდა ყველა ქვეყნებში ღორის ხორცეულის თავისუფალ გაზიდვის საკითხს იხილავს. თავისუფლად შეიძლება გაიზიდოს ყველა ქვეყნებში ყველა ხარისხის ყავა.

**ხალხთა ლიგის კომისიაში.**

პრეზიდენტ ვილსონმა კონგრესის კომიტეტს გაუგზავნა რადიო, რომელთაც აუწყებს, რომ ხალხთა ლიგის კომისიაში მთელი ქვეყნის წარმომადგენლები შევიდა 5 დიდი სახელმწიფოს გარდა კომისიაში შევიდა ბელგიის, სერბიის, ჩინეთის, საბერძნეთის, ბრაზილიის და პორტუგალიის წარმომადგენელნი, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ კამათში და დახმარება გაგვიწიეს კონსტიტუციის შედგენაში.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბაღდადის გზა.**

მოკავშირეთა ხელში გადასული ბაღდადის გზა დღეს ფართოვდება, წარსულ წლის გიორგობისთვეს გვირაბები გაიყვანეს თავრის მთებში და დღეს მატარებლებს შეუძლიათ ნისსიბინიდან იარონ. მოსულის დასავლეთით ას ვერსის მანძილზე.

გზის მთავარი დირექტორი მოითხოვს რათა გერმანელ ინჟინრები დაარჩინონ დროებით ისევ თავის ადგილზე, რადგანაც მათ საკმაო ცოდნა და სპეციალობა აქვთ ამ გზისთვის.

**გალიციის გაერთიანება უკრაინასთან.**

ამ ჟამად პირდაპირ შავთულით დიდი მოლაპარაკებაა გამართული უკრაინის მთავრობისა და გალიციის სეკრეტარიატის შორის გალიციის უკრაინასთან გაერთიანების გამო.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ უკრაინის მმართველი წრეები ამ საქმეში ინიციატივას ანდობენ გალიციის ხალხს, რომელსაც მიენდო გალიციის შეერთება. უკრაინასთან ფედერატიულ, ავტონომიურ თუ სხვა საფუძვლებზე.

**მაჰმადიანთა წარმომადგენლობა საზავო კონფერენციაზე.**

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მაჰმადიანთა წარმომადგენლობა საზავო კონფერენციაზე დაკისრებული აქვს კავკასიის ეროვნულ მოღვაწეთა და სხ.

მაჰმადიანებს ერთი იმპერატიული მოთხოვნილება აქვთ ეს არის კულტურულ ეროვნული ავტონომია მაჰმადიანობისა ფედერატიულ რუსეთში.

**საერთაშორისო კონტროლი ციმბრის გზებზე.**

ციმბირის გზებზე საერთაშორისო კონტროლია დაწესებული. გზათა მმართველობა ამერიკულ სისტემით მოეწყობა. ამ ჟამად სწორი მატარებლები დადიან ვლადივოსტოკიდან ვიდრე ბაიკალამდე.

**თათრები და მოხალისეთა ლაშქარი.**

სიმფეროპოლში შემდგარა თათრების დიდი რაზმი, რომელმაც ყოველნაირი დახმარება უნდა აღმოუჩინონ მოხალისეთა ლაშქარს. ამის გამო მოკლე ხანში მოჰხდება ყირიმის მოღვაწეთა და მემამულეთა ყრილობა. ერთერთი თათრული გაზეთი მედგრად დაიცავს მოხალისეთა ლაშქრის ინტერესებს. საერთოდ ყირიმელ თათრების სიმპატია სულ მთლად მოხალისე მხარეზეა.

**ინგლისური ფლოტი შეერთებულ შტატებში.**

საზავო ხელშეკრულობაზე ხელის მოწერის შემდეგ—ინგლისური გემი გაემართება შეერთებულ შტატებში, რათა იქაური ნავთსადგურები მოიხილოს. ეს იქნება მადლობის გადახდა იმ შველის გამო რომელიც შტატების ფლოტმა აღმოუჩინა მას ომიანობის დროს. შემდეგ იგივე ფლოტი ინგლისის ახალშენებს ინახულებს.

**რუსეთის ახალი კაბინეტი.**

რუსეთის ყოფილი პრემიერი ტრეპოვი სტოკჰოლმს ჩავიდა, რათა შეჰქმნის ახალი რუსული კაბინეტი, რომელიც ჩაიბარებს რუსეთს ბოლშევიკების დამხობის შემდეგ. კაბინეტის წევრებად იქნებიან: თ-დი ვოლკონსკი, ბარ. ტაუბე, სენატორი ზასიადკო და გენ. მასალსკი.

## დამფუძნებელ კრების არჩევნები ზემო-ქართლში

დამფუძნებელ კრების არჩევნები უხეირო პირობებში ხდება. ყველგან გამეფებულია თვითმპყრობელობა პირველ ნომრისა და თუ მას არ ეკუთვნის პროპაგანდისტი, ცუდია მისი მდგომარეობა და საფრთხეშია მისი სიცოცხლეც. პირველ ნომრის მოქადაგე-პროპაგანდისტები კი არა-ჩვეულებრივი ყოფაში არიან. აგერ მიბრძანდება პროპაგანდისტი სამ-ოთხ შეიარაღებულ მილიციონერით და ელეთ-მელეთსა ჰგვრის ხალხსა. აბა გაბედეთ, და მის საწინააღმდეგოთ სთქვით რამე, მაშინვე მზად არის ჩვეულებრივი ფანდები,—თქვენ თავად-აზნაურების პარტიისანი ხართ, ბატონ-ყმობის აღდგენასა და ძველის რეჟიმის გამეფებასა მეცადინეობთ და აი ამგვარის პროვოკაციით დაგასამარებენ და აგიღელვებენ ხალხს. თითონ კი როგორც ნამდვილი თვითმპყრობელ რუსეთის პოლიციელი ან ჟანდარმი, პარპაშებს და ათას განკარგულებას აძლევს, რომ სხვა პარტიებს ფეხი არ გადაადგმევინონ და თუ ფეხი გადგა, არაფერი არ დაუჯეროთ. ხალხიც დაშინებულია, იმდენად, რომ ვეღარა ჰბედავს სხვა პარტიის მიმხრობას, გინდაც იმ პარტიის იდეა და მოძღვრება ძალიან მოსწონდეს. ამგვარად შექმნილია ერთგვარი მონოპოლია პირველი ნომრისა, რომლითაც მთელი ქართლის სოფლები ჩაუგდიათ ხელში და ქალიან-კაციანათ მათი ყურმოჭრილი მონანი გამხდარან. ეკითხები — რა ამბავია, მარტო ერთს ნომერს რათ მისჩერებიხართ, ნუ თუ ყველანი ერთის აზრისა ხართ, ერთის შეხედულებისა და ყველასგან ერთსა და იმავე პასუხს იღებთ,— ჩვენ გადავსწყვიტეთ მთელმა სოფელმა, მაგ ნომერს მივცეთ ხმა და თითო-ოროლა ხომ არ გამოვერჩევით, სოფელს ერთი პირი უნდა ჰქონდეს.

ვკითხე ერთს სოფელში, რითი მოგიხათლდა აგრე-ნაირად ქადაგმა-მეთქი და მითხრეს,—დაგვპირდა ეხლა ოღონდაც მოგვეცით ხმები და გათავდება თუ არა არჩევნები, მაშინვე მოგიზომავთ მიწებსო, მხოლოდ თქვენ დაამზადეთ ყორღნებიო.

ერთ სოფელში კაცი ვერ ვიშოვნეთ, რომ საჭირო პლაკატები და სიები გაგვეტანებინა. ბოლოს როგორც იყო ვიშოვეთ დიდ სასყიდლით და როცა ეს გაიგეს ს.-დ. ოინბაზებმა მაშინვე დაიბარეს გასაგზავნი კაცები და გამოუცხადეს—თუ მაგათ გაჰგზავნებიხართ სადმე ჯარიმას დაგადებთ და ერთიორად იმაზე მეტს გადაგახდევინებთ რასაც ეგენი ქირას მოგცემენო. რასაკვირველია დაქირავებულებმა ამის შემდეგ უარი სთქვეს წასვლაზე და ჩვენ იძულებული ვიყავით სხვა სოფელში წავსულიყავით და იქ გვექირავნა კაცები.

ერთ სოფელში ვერც კი ვასწრებდით პლაკატების გაკვრას და ბიულეტენების დარიგებას, რომ მილიციონერი ჰგლეჯდა პლაკატებს და ართმევდა საკითხ წიგნაკებს.

დაიწყო არჩევნები, შევედივარ კომისიის ოთახში და ვეუბნები, რომ მე როგორც პარტიის წარმომადგენელმა მონაწილეობა უნდა მივიღო კომისიაში. წევრები პროტესტს მიცხადებენ და არა ნებავთ ჩემი წევრად მიღება. ვუთითებ დამფუძნებელ კრების კანონის იმ მუხლზე რომელიც პარტიის წარმომადგენელნი სრულის წევრის უფლებით მონაწილეობას იღებენ კომისიაში, მაგრამ ისინი თავისას გაიძახიან,—არ შეიძლება ჩვენ ეგრე გვაქვს დაბარებული. მაშინ მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ და ვეუბნები—კანონი მე ამის უფლებას მაძლევს, მე აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი და გაბედეთ ჩემი აქედან გაყვანა-მეთქი. მაშინ იკადრეს და დამიშვეს.

ვზივარ ყუთთან და თვალყურს ვადევნებ არჩევნებს. არჩევნები ფარული უნდა იყვეს კანონის ძალით, მაგრამ არაფერი ისეთი არ არის დაცული მიდის ამომრჩეველი, თითონვე პირველ პირველი ნომრის დამქაშები უკეცავენ ბიულეტენს უდებენ კონვერტში და უბძანებენ ყუთში ჩაუძახონ. აი ამის წყალობით მრავალი ხმები დაჰკარგეს სხვა პარტიებმა. სოფ. ქარელის ვაჟრებმა მითხრეს, მიველით თუ არა ყუთთან მაშინვე მოგვაჩეჩეს პირველი ნომრის

---

თვისი დრო. შესხდნენ. დაუარეს ბანაკში დარჩენილ ხალხს, გასცემდა ბარძიმი განკარგულებას, აფრთხილებდა ვაჟკაცთ, იმედს უნერგავდა უხსოქმნილთა; ბრძოლის გზზედ მოჰყავნდა ყველა მოხუცს გაუტეხელს. მისი განკარგულება იყო, რომ გადაირჩნენ იარაღის მქონნი და უიარაღონი, განცალკევდნენ სრული საჭურველის მქონნი და მსუბუქად შეიარაღებულნი. წინამძღვართა სიტყვამ თუ ქცევამ ისეთ გუნებაზედ დააყენა ხალხი, თითქო აგერ მტერს თავს უნდა დაატყდეს მათი რისხვა და შეანანოს უგვანი კადნიერება, ქვითინად გარდაუქციოს ხარხარი გამარჯვებისა; სავსე საწყაულით მიუწყას მას იმ უღიერობისათვის, რომელიც მიაყენა მან ქართველებს, იმ დაკნინებისათვის, რომლის მოგონება აწითლებდა აწ თვითეულს მათგანს დიდად დარცხვენილს.

— ბრძოლა, ბრძოლა მედგარი! სისხლის რუები ხმალთა ლარებზედ!

დაწყნარდა ბარძიმი. იმედით უწყო მზერა მომავალ წუთებს საბედისწეროს.

— იქნება ღმერთმა ქმნას და აღარ დაგვჭირდეს საბერძნეთში გასვლა მულად, ვით ბრბოს ბინა დაკარგულს, რომელს ლაჩრად დაუტოვებია სამკვიდრო მამა-პაპათა და მათხოვრად მისულა სხვასთან საწყალობელი.

— მიკვირს, ბარძიმ, როგორ მოუვიდა დიდ აშოტს, თუნდაც დაძლეულს, ფიქრი მამდაბლებელი. როგორ?! სამუდამოდ აყრას და სხვათა მამულში გადასვლას არა სჯობია სიკვდილი თავისსავე სამკვიდრებელში? სად მივდივართ, რომ მივდივართ? სად შევაფაროთ თავი საწყალი? ვის შევავედროთ ცოლ-შვილი უმწეო? არა, არ ეგების! საკვირველ იყო მეფის განზრახვა.

— მოულოდნელად დამარცხდით, სასტიკად ვიძლიენით და გული გაუტყდა გმირულად მებრძოლს. დაკარგა ძალა შემმართებელი. თვის ხმალზედვე ღგებოდა, თუ შერჩენოდა ნასახი ნებისყოფისა. ეგვთია მეთქი იმ თავითვე. დიდი გონებისა იყო ყოველთვის, მძლავრად მოქმედი. მაგრამ ჟამითიჟამად მოეშვებოდა, მოფონდებოდა საოცრად, დაჰკარგავდა თვალთა იერსა, აშორიშრეტდა სიცოცხლის მურაზს, აჩრდილივით ლა ვიდოდა ღონემიხდილი. რამდენჯერ გამაფიცხებდა ესეთი მაგისი ხასიათი, მოთმინების ჯაჭვს დამიმსხვრევდა. უცხოს ენახა მოზარდი ამისთანა დროს, გონება მოლვედილად ჩასთვლიდა, სურვილ ჩაწყალებოლად. განსვენებული ადარნასე ამისთანა შემთხვევებში სიმშვიდესა ჰკარგავდა, ძლივს იმაგრებდა თავს განრისხებული. ესე მოსდიოდა ქაბუკს, თუ სურვილი რამ ძლიერი გაუცრუვდებოდა. მხოლოდ მე ვიცოდი, აქ ყოფას მოდუნებულს მსწრაფლ დაენაცვლებოდა ჟამთა დენა სიცოცხლით სავსე, ძალთა აჩქეფებული, უღალ საქმეთა წამართავ-მაბვითარებელი.

— საკვირველია! მე კი მთლად დამალონა მაგისმა მზერამ. მეგონა, ჯავრით, სიმწარით გონება აჰბდა, მთლად დაკარგა ძალა გმირული, მეფური თავმოყვარება დიდებული. შევკრთი, შევშინდი, თითქმის შევძრწუნდი.

— შეც შევფიქრიანდი. მეტს დროს გასტანა ვაჟკაცის სასოწარკვეთილებამ, იმედი შემერყა: მეგონა, დროზედ ვერ მოეგებოდა თავს. მით უფრო ვწუხდი, რომ ამდენი ხალხი მაგის კვალს შევსდგომოდით, მაგისგან ლა ველოდდით ხსნას უფსკრულს მიწევნილნი.

— მე მაინც მწამდა ეტლი მაგისი; მოველოდი ბედის ცვალებას სასიკეთოს, კვალაც მოველი, ჩაერია საუბარში სხვა.

— აწ ღმერთი გვფარავს! მან შთააგონოს ცხებულსა თვისსა, ვით იხსნას უსჯულოთაგან საქრისტიანო.

— ისმინოს მაღალმა ვედრება შენი, მაკურთხეველო!

ესე მსჯელობდნენ იმედ აღძრული მოშინაზულენი ხალხისა. განსაცდელში მყოფ ერს სასოებას ულვიძებდნენ გულში, რომ მის ალს ძლევამოსილად აეტრიალებინა მებრძოლთა ნებისყოფა ვაჟკაცური. დროც უკვე დამდგარიყო განწირული ბრძოლისა, დაიოლკა ჟამს საბედისწეროს.

აიწია აისმა. ფეხზედ დაჰხვდნენ სარდალნი რიგრიგს. შეხიშნეს მათკენ მიმავალი მხედარი. ისწრაფიდა საშინლად. მიჰმართა მომავალმა მეფის კარავს. გადაუდგა ბარძიმი გზაზედ, შეაყენა.

— რა ამბავია ეგრე სასწრაფო?

— უბედურობა! ლაშქარი მტრისა უთვალავი გადმოეფინა გორაკებს. გელაზის ციხესთან გადმოჩნდნენ, შაორისაკენ მოიგრაგნებიან. იწვის არემარე. ცასა სწვდება ხალხის ვაება.

მოისმინა ბარძიმმა სამწუხარო ამბავი და მაშინვე მოახდინა განკარგულება, საომრად აღკაზმულიყო ყველა. წაესწრაფა მეფის კარვისაკენ.

— ადრე მოგვწვდნენ. ვიცოდი, ფეხდაფეხ აგვედევნებოდნენ, მაგრამ მეგონა ერთი დღის სავალზედ მაინც იქნებოდნენ ჩვენგან და მოვასწრობდით შესაფერად დარაზმას, თავდაცვის მოწყობას.... ღმერთო, გვიშველე! ნუ თუ მთლად განვიწირენით ბედისგან?! ღონობდა ბარძიმი.

მაინც ენანებოდა გაეღვიძებინა მაშვრალი მეფე, რომელს მრავალი ტანჯვა განეცადა ულონო ღელვისაგან, ხოლო აწ სამოქმედოდ მოქცეული მცირედს ჟამს ხორცთა განსვენებას მისცემოდა, რომ ჯან-ღონე განახლებული. დაკვართულიყო ტახტისა და ერის სვე-ბედის წასამართავად. უნდოდა აეწია ბარძიმს კარვის კალთა, როცა თვით აშოტმა ახადა კარი და გამოვიდა მოღიმარე სახით.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

სია და გვიბძანეს ყუთში ჩაგდება, მაგრამ ჩვენ გავკვირდით და ხმა მაღლივ შევძახეთ,— ჩვენ ის ცხვრები არ ვართ, რომელთაც იქითკენ მიერეკებით საითკენაც გსურთ, ჩვენ კანვერტები მოგვეცით და ჩვენ ვიცით რომელ ნომერსაც ჩავუგდებთ. მხოლოდ ამ პროტესტის შემდეგ მოგვცეს ცარიელი კანვერტები. ამავე სოფელში ჩვენი პარტიის წარმომადგენელს საშინელი ცილი დასწამეს ვითომც ის ავრცელებდეს ხმას, რომ ვინც მეორე ნომერს არ მისცემს ხმას ექვსი თვე იქნება ციხეში დაპატიმრებულიო.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ერთს საარჩევნო ყუთთან მარტოთ-მარტო პირველი ნომრის სიები ეწყო. ვეკითხები როგორც პარტიის წარმომადგენელი. რატომ სხვა სიები კი არ მოგიტანიათ მეთქი და აი რას მიპასუხებენ,— ჩვენი ბიულეტენებიც ვერ მოვიტანეთ საკმარისი და აბა თქვენები და სხვებისა საიდგან უნდა მოგვეტანაო, მაგრამ როცა ძალა დავატანე მეორე დღისთვის გამოაჩინეს, მაგრამ არა ყველა პარტიისა. ფედერალისტებისა მაინც არ იყო და როცა ერთმა სოფლის მასწავლებელმა მოითხოვა მათი სია და აღმოჩნდა, იძულებული იყო სხვა პარტიისთვის მიეცა ხმა. კენჭის ჩასაგდებათ ბევრი ავადმყოფობის გამო არ მოდის, შეთანხმებით ვწყვეტავთ საკითხს, რომ მათმა სახლის სხვა წევრებმა ჩააგდონ კენჭი. ასეთაც მოიქცნენ როცა პირველ ნომერს შეეხო საქმე, მაგრამ როცა ასეთ ავადმყოფს სახლიდგან უნდა ჩაეგდოთ მეორე ნომერი, მაშინ მთელი კომისია გაჰგზავნეს შესამოწმებლად და სულთ მობრძავ ავადმყოფს პირველის ნომრის წარმომადგენელი მკვახედ უბრძანებს რომელ ნომერს აძლევს ხმას. ვაცხადებ ყველა ამაზედ პროტესტს, მაგრამ ვინ დაგიდევს, ძალა მის ხელშია. ერთს მოხუცს დედაკაცმა მეორე ნომრის ხმა დაუკარგეს მარტო იმიტომ, რომ მისმა შვილმა განაცხადა ავად არისო და როცა კომისია პირველის ნომრისა შესამოწმებლად მივიდა, იგი ავად არ იყო. ეს მოხდა სოფ. აბადეთში.

ეს კიდევ არაფერი, ზოგიერთს სოფელში მთლად გაამასხარავეს და მნიშვნელობა დაუკარგეს არჩევნებს ხალხის თვალში. მივა გლეხკაცი საარჩევნო ყუთთან ეკითხებიან რამდენი არიან თქვენს ოჯახში და ამის თანახმად უდებენ სიებს კონვერტებში და უბრძანებენ ჩაყარა ყუთში. ასე ხდებოდა თურმე როგორც გადმოგვცეს ს. ხიდისთავში. ოსებში კიდევ საარჩევნო ყუთს თან დასდევდნენ რამდენიმე შეიარაღებული მილიციონერები, დაჰქონდათ კარიკარათ და ძალათ აყრევინებდნენ სიებს. სწორედ ამის გამო იყო, რომ ქარელის რაიონში ოსის სოფლებმა კატეგორიული უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზედ. დაბა ცხინვალში გადმოგვცეს ბაზარში იჭერდნენ ჩამოსულს გლეხკაცებს, საარჩევნო სიებს მიაწერდნენ ხოლმე მათს გვარებს და უბრძანებდნენ წინდაწინვე დამზადებულს პაკეტების ყუთში ჩაგდება.

მაგრამ არა უკეთესს მდგომარეობაში იყო არჩევნების საქმე თვით გორში მთელი ოჯახები გამოტოვებული იყო სიიდგან და სწორედ ის ოჯახები, რომელნიც პირველ ნომერს არ ეკუთვნოდნენ. ამის დასამტკიცებელი მაგალითები მრავლათაა. სიების შედგენის დროს თურმე ეკითხებოდნენ რომელ პარტიას ეკუთვნოდენ, გულუბრყვილონი ეუბნებოდნენ და სწორედ გახგებ ამიტომ შეტანილნი არ იყვნენ ალბათ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი თვით კენჭის ყრის დროს ასეთი მაგალითები იყო. შედის საარჩევნო ოთახში, ახალგაზდა რომელსაც ეტყობა, რომ სრულწლოვანი არ უნდა იყვეს, კომისია კენჭის ყრით სწყვეტს ამ საკითხს, იმის მაგივრად, რომ მეტრიკის ამონაწერი მოსთხოვოს. რადგანაც კომისიის უმრავლესობა პირველ ნომერს ეკუთვნის ამიტომაც ყოველთვის მის სასარგებლოდ სწყდება საკითხი.

მოვდივართ რკინის გზით. ვაგონში შემოდის ახალგაზდა და ხმა მაღლა იძახის,— ამისთანა ბრწყინვალე გამარჯვება როგორც ყველგან ჰქონდა პირველ ნომერს, არა მგონი უხსოვრად დარჩეს ჩვენს ცხოვრებაში, ბიულეტენები არა გვყოფნის იმდენი ასურველია პირველი ნომრისთვის ხმის მიცემისა.

— მაგისთანა ხმებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, უპასუხებს ერთი ხანში შესული, თქვენ ტერორი გამოუცხადეთ სხვა ნომრებს, რუსეთის თვითმპყრობელობის დროსაც არა ხდებოდა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები იმ პირობებში რომელშიაც დღესა ჰხდება. თქვენ იმას უნდა სცდილობდეთ რომ ხალხი შეგნებულად მიდიოდეს ყუთთან და შეგნებულად აძლევდეს ხმას და არა ნაძალადევად და დაშინებით.

აქ იწყობა გაუთავებელი კამათი, მთელი ვაგონი კამათში ებმის და ერთი ამბავი ტრიალდება მთელი მგზავრების განმავლობაში თბილისამდის.

ზაქ. ედილაშვილი.

## განათლება ჩვენში

ქართველი ერი, მიუხედავად თავის მატერიალურ სიღარიბისა, მუდამ ზრუნავდა განათლებაზე და სწორედ ამის მადლობით საქართველომ ეროვნულ კულტურის გზით მეოცე საუკუნემდე მიაღწია და დასასრულში შესძლო აღდგენა საკუთარ პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა. სოციალურ ცხოვრებაში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეძლება ჰქონდეს შექმა, როგორც ჟანგს, ერის განმანათლებელ იარაღისა, ე. ი. მისი, ძვალ-რბილში გამჯდარ, სულიერ კულტურისა. მაგრამ ხალხი, რომელიც ზნეობრივად გახრწნილი, მატერიალურად უზრუნველი არ გავს ეროვნულ ნიადაგს და ისტორიის ზვირთებში სამუდამოდ ილუპება.

საინტერესო იარაღად უნდა ჩაითვალოს, სხვათა შორის, პოლიტიკა, დამყარებული ხალხის გარყვნაზე, მის აზროვნობის სისტემატიურ მოწამვლაზე.

მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი წმინდა გულით და სულით ეწაფებოდა ჭეშმარიტ განათლებას და მარტო მასში ხედავდა ერთად ერთ გასავალს სიბნელით მოცულ სამარიდან, ჩვენი მეზობლები— ჰაიასტანის პოლიტიკანები მიდიოდნენ სულ სხვა გზით,— მათ სწამდათ გამათახსირებელი პოლიტიკა შოვინიზმისა და მათ ეროვნულ კუჭის ინტერესებისა. ავიღოთ, მაგალითად, ის ციფრები, რომელნიც გამოქვეყნებულია 1914 წლის ამიერკავკასიის კალენდარში.

1912 წელს თბილისის ბეჭდვითი საქმის კომიტეტში წარდგენილი იყო:

1. წიგნები სახალხო-პოლიტიკურ ხასიათისა: სომხურ ენაზე 28, ქართულ ენაზე 6,
2. სამეცნიერო თხზულებანი: სომხურ ენაზე 26, ქართულ ენაზე 35,
3. ხალხისთვის საკითხავი: სომხურ ენაზე 12, ქართულ ენაზე 50,

შევადაროთ ეს ციფრები და ნათლად დავინახავთ, ვინ ეწეოდს საქართველოში კუჭის პოლიტიკას და ვის უფრო ეწვოდა გული თავის ერის გაუნათლებლობაზე,— იმ შოვინისტებს, რომელთაც მილიონებით სავსე ჯიბეები სტამბაში მიჰქონდათ ხალხის გასარყვნელი პოლიტიკურ ხასიათის წიგნების გამოსაცემად, თუ იმ გულშემატკივარ პატრიოტებს, რომელნიც თავის უკანასკნელი გროშით სცემდნენ ერის გასანათლებლად სამეცნიერო და ხალხისთვის საკითხავ ლიტერატურას. არა მგონია, რომ ნიკოლოზის შინაგან პოლიტიკას განგებ დაესახიჩროს ზემოთ-მოყვანილი სტატისტიკური ცნობები მაშინ, როდესაც იჭრებოდა საკითხი რუსეთის იმპერიის ერების ზნეობრივად დაცემისა და მათ ეკონომიურად განადგურებისა. განათლებას და კუჭის პოლიტიკას მოპირდაპირე ინტერესები იცავენ, და თუ სოციალიზმის სწავლება და შოვინიზმის იდეოლოგია აღიარებენ მხოლოდ და მხოლოდ კუჭის ჩასუქებას, განათლების პრინციპები ლალადებენ მთლად მთელი კაცობრიობის სულიერ და მატერიალურ კულტურას და საკვირველიც არ არის, რო ყველა სახელმწიფოების პარლამენტებში, ბოლშევიკების საბჭოების გარდა, ამომრჩევლები გზავნიან არა პურის იდეოლოგებს, არამედ განათლებულ, განვითარებულ და სამშობლოსადმი სიყვარულით აღსავსე პირებს.

პავლე მოსულიშვილი.

## სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება

შაბათს, 15 თებერვალს ვ. ი. რცხილაძის თავმჯდომარეობით შესდგა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა-საერთო კრება. დღიურ წეს-რიგში დასმული იყო ორი საკითხი; საზოგადოების რეორგანიზაცია და საზოგადოების საბაღოსნო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. კრება შეცვლის წესდების პროექტის განხილვას მოუნდა; წესდება, ზოგიერთი მუხლის შესწორების შეტანის შემდეგ, დამტკიცებულ იქნა. შეცვლილ იქნა საზოგადოების სახელი: „კავკასიის“ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მაგივრად ამიერიდან ეწოდება „საქართველოს“ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომელიც აერთებს სამ დაწესებულებათა მოქმედობას— კავკასიის და ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებისა და საგუბერნიო მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტისა. საბაღოსნო სკოლის რეფორმის შესახებ მსჯელობა გადაიდო; საზოგადოებას მხოლოდ მსჯელობა ჰქონდა ამ—სკოლის დაცვის შესახებ. საქმე იმაში მდგომარეობს. რომ საზოგადოების საბჭოს მიწათ-მოქმედების სამინისტროდან წინადადება მიუღია ამოირჩიოს თავის წარმომადგენელი სამინისტროს მიერ დანიშნულ კომისიაში, რომელსაც აქვს დავალებული მიიღოს ის მამული, ყოველ შენობებით, სადაც თბილისის საბაღოსნო სკოლა (მუშტაიდის და ელისაბედის ქუჩების კუთხე) და აგრეთვე სამინისტროს უნდა ჩაბარდეს ამ სკოლის ინვენტარი რაც შეეხება ამ სკოლას. სამინისტროს განზრახვა აქვს გადაიტანოს იგი ქართლში. ამ წინადადების გამო საბჭოს პროტესტი გამოუცხადებია, რადგანაც როგორც მამულს, აგრეთვე შენობებს და სკოლის მოწყობილებას საზოგადოება თავის საკუთრებათ სთვლის. ამ გაუგებრობის გამოსარკვევად კრებამ ამოირჩია კომისია, რომელიც უნდა წარუსდგეს მიწათ-მოქმედობის მინისტრს და თუ საჭიროება მოითხოვს მთავრობის თავმჯდომარესაც თხოვნით ამ განკარგულების შეცვლის შესახებ. კომისიაში არჩეულნი იქმნენ ვ. ი. რცხილაძე, პ. გ. მელია და მ. ა. ვერმიშევი.

## ახალციხის ასპარეზზე

დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცები და სახალხო გვარდიელები.

1. ამაშუყელი გრიგოლი, საგ. ბატ.
2. ალავიძე პეტრე. სასაპ. ბატ.
3. აბრამიშვილი ვარდენი, ფხაკაძის რაზმი.
4. არჩვაძე ნიკიფორე, ლეგიონი.
5. ავალიანი ვლადიმერი, სასაპ. ბ.
6. ალიაშვილი ივანე, 6 ფეხ. პოლ.
7. ახალკაცი ალექსანდრე, სასაპ. ბ.
8. არჯანაშვილი არჩილი, 6 ფეხ. პოლკი.
9. ალადაშვილი იკა, 4 ფეხ. პ.
10. აბელაშვილი გიორგი, 6 ფ. პ.
11. ალავერდაშვილი ალექსანდრე, 4 ფეხ. პოლკი.
12. აბურძანია ბაგრატ, 1 ფ. პ.
13. ატაშიშვილი ალექსი, 4 ფ. პ.
14. აგაზაშვილი პავლე, 4 ფ. პ.
15. ბაცაშვილი თედო, 4 ფეხ. პ.
16. ბურდული ქრისტეფორე, საგუბერნიო რაზმი.
17. ბახბახიშვილი სევალი, 6 ფ. პ.
18. ბერნაძე მიხეილი, 6 ფეხ. პ.
19. ბალანჩივაძე ბესარიონი, 6 ფ. პ.
20. ბედია გერასიმე, 6 ფეხ. პოლ.
21. ბლუზუნაშვილი ივანე, 6 ფ. პ.
22. ბერიაშვილი სვიმონი, 4 ფეხ. პ.
23. ბალიაშვილი ალექსანდრე 4 ფეხ. პოლკი.
24. ბერია ანდრია, პარტიზ. რაზმი.
25. ბემაძე სვიმონი, 4 ფეხ. პოლკი.
26. ბერიკაშვილი ზაქარია, 4 ფ. პ.
27. ბიძინაშვილი ვასო, 6 ფ. პოლ.
28. ბუტიაშვილი დავითი, 6 ფ. პ.
29. ბოჭყინიანი ნიკოლოზ, ლეგიონი.
30. ბარძიაშვილი იოსებ, 6 ფ. პ.
31. ბურდული ნიკოლოზი, 4 ფ. პ.
32. ბოერიქიანი არტემ, ლეგიონი.
33. ბახვალაშვილი კაპიტონ, 4 ფ. პ.
34. ბოლოძაშვილი ვასო, 5 ფ. პ.
35. ვარაზანიძე გიორგი, მანგლ. სანაპ. რაზმი.
36. გრიშიკაშვილი ვასო, 2 ცხენ. პ.
37. გეთაშვილი სპირიდონ, გვარდ.
28. გელაძე ილია, 1 ცხენ. პოლკი.
39. გერასელიძე ვასო, 4 ფეხ. პ.
40. ვარდიაშვილი გიორგი, 4 ფ. პ.
41. გოგიტაშვილი კონსტანტინე, მაზნიევის რაზმ.
42. გოგელაშვილი გიორგი, 4 ფეხ. პოლკი.
43. გოზალაშვილი ლადო, 4 ფ. პ.
44. გივიაშვილი პეტრე, 2 ფეხ. პოლ.
45. გვრიაშვილი სოლომონ, 4 ფეხ. პოლკი.
46. გიორგაძე ნიკოლოზ, 6 ფეხ. პოლ.
47. გილდი ოტტო, სამთო ბატარ.
48. გადუაშვილი გიორგი, 1 საარტ. ბრიგადა.
49. გოზმაძე სერგო, 4 ფეხ. პოლკი.
50. გუსეინ-ოღლი, 1 ცხენ. პოლკი.
51. ძნელაძე ირაკლი, საგუბერნიო რაზმი.
52. ჰამასპიშვილი ალექსანდრე, გვარდიელი.
53. ჯავაშვილი რომანი, 4 ფეხ. პოლ.
54. დოქერლიცაშვილი ნიკოლოზ, 4 ფეხ. პოლკი.
55. დემეტრაშვილი ივანე, 4 ფ. პ.
56. დამნიაშვილი ვალერიან, 1 ცხ. პოლკი.
57. დავითიშვილი გიორგი, 6 ფეხ. პოლკი.
58. დარჩაძე თომა, 4 ფეხ. პოლკი.
59. ჯამანაშვილი ალა, „ „ „
60. დოხტუროვი მირზა, 1 ცხ. პოლ.
61. ძაღონი გიორგი, პარტიზ. რაზ.
62. დავიდოვი დიმიტრი, 4 ფეხ. პ.
63. ჯილაური გიორგი, 6 ფეხ. პოლ.
64. დოხტურაშვილი ილია, „ „ „
65. ჯაფარიძე დავითი, მანგლისის სანაპ. 2 რაზმ.
66. ეგანოვი გიორგი, 4 ფეხ. პოლ.
67. ემანუელიძე ივანე, „ „ „
68. ზენენგოვიჩი ანდრია, საგ. ბატ.
69. ზურაშვილი დიმიტრი, 4 ფეხ. პ.
70. ზედელაშვილი ალექსი, 4 ფეხ. პ.
71. იმერლიშვილი დავითი, 6 ფეხ. პ.
72. იოხვაშვილი ვასო, 6 ფეხ. პ.
73. ყანდაშვილი ვანო, 4 ფეხ. პოლ.
74. კანდელაკი პეტრე, 5 ფეხ. პოლ.
75. ქურდაძე ამბაკო, 5 ფეხ. პ.
76. კალაედაძე დავით, 5 ფეხ. პ.
77. კნოსტ ვილგელმი, 2 ბრიგადა.
78. კაკრაშვილი ნიკოლოზ, 2 ბრიგ. 6 ბატ.
79. კუკუშაძე არსენ, 4 ფეხ. პოლ.
80. კუპატაძე იოსებ, 1 ცხ. პოლკი.
81. ქუსიკაშვილი დავითი, 4 ფეხ. პ.
82. ქუცაშვილი გიორგი, 4 ფეხ. პ.
83. ყარაულიშვილი გიორგი, 6 ფეხ. პოლკი.
84. ქამრაშვილი ვასო, 4 ფეხ. პოლ.
85. კობახიძე კლემენტი, 6 ფეხ. პ.
86. კოჭლამაზაშვილი მათე, 4 ფეხ. პ.
87. კიკილაძე რაჟდენ, 6 ფეხ. პოლ.
88. კახაბერიშვილი ილია, 6 ფეხ. პ.
89. კვერკველია კონსტანტინე, 1 ცხ. პოლკი.
90. კაპანაძე ვასო, ფხაკაძის რაზმი.
91. კუპატაძე გრიგოლი, ფხაკ. რაზ.
92. კიკნაძე ალექსანდრე, 1 ფეხ. პ.
93. ქიჩუხიძე იასონი, 1 ფეხ. პოლ.
94. ქევხიშვილი გიორგი. 6 ფეხ. პ.
95. ქომახიძე არტემ, 4 ფეხ. პოლ.
97. ქორქიძე გიორგი, 1 ბრ. 2 ბატ.
98. ლეგიაშვილი გიორგი, 4 ფეხ. პ.
99. ლეჟავა ალექსანდრე, 4 ფეხ. პ.
100. მერკვილაძე დავითი, მანგლისის სანაპ. 2 რაზ.
101. მჭედლიშვილი იოსებ, 4 ფეხ. პ.
102. მებაშვილი ვანო, გვარდიელი.
103. მოდებაძე ტრიფონ, 1 ფეხ. პოლ.
104. მაჩაია ივანე, 2 ბრიგადა 2 ბატ.
105. მოსელიძე იოსებ, 4 ფეხ. პ.
106. მჭედლიშვილი ნიკოლოზ 5 ფეხ. პ.
107. მერინაშვილი ნიკოლოზ, 4 ფეხ. პ.
108. მოსიშვილი გიორგი, 5 ფეხ. პ.
109. მჭედლიშვილი არჩილ, 6 ფეხ. პ.
110. მეფარიშვილი ალექსანდრე, 1 ბრ. 2. ბატ.
111. მიქაძე გაბრიელ, 6 ფეხ. პოლ.
112. მირიანაშვილი შალვა 6 ფეხ. პ.
113. მინდორაშვილი ალექსანდრე 4 ფეხ. პოლკი.
114. მეტრეველი ნიკოლოზ, 4 ფეხ. პ.
115. მეტეტიშვილი გიორგი, 4 ფეხ. პ.
116. მუსა-ილ-ოღლი, 1 ცხ. პოლკი.
117. მუმლაძე ვასო, 1 ფეხ. პოლ.
118. მელსვარიშვილი დომენტი 1 ც. პ.
119. მეიფარიშვილი ნიკოლოზ, სასაპიორო ბატ.
120. მაზმიშვილი იოდა, 5 ფეხ. პ.
121. მაღრაძე ივანე, ცხენ. გვ. დივიზ.
122. ნაჭყეპია სერგო, 4 ფეხ. პოლ.
123. ნადირაშვილი ვანო, 6 ფეხ. პ.
124. ნასარიძე სოლომონ, 4 ფეხ. პ.
125. ნონიაშვილი რომან, 6 ფეხ. პ.
126. ნიკურაძე გრიგოლ, 1 ფეხ. პ.
126. ნიკოლაშვილი ნიკოლოზ, ლეგიონი.
128. ოქრუაშვილი შალვა, ლეგიონი.
129. ომიაძე ვარლამ, ფხაკაძის რაზ.
130. ფერეჩაშვილი სერაფიონ, 1 ცხ. პ.
131. ფრანგიშვილი გრიგოლ, სასაპ. როტა.
132. ფეიქრიშვილი ვასო, გვარდიელი.
133. პეტრაშვილი პეტრე, პარტ. რაზ.
134. ფარეშიშვილი გიორგი, 1 ცხ. პ.
136. რუვაძე ალექსანდრე, 6 ფეხ. პ.
137. საგინაშვილი ალექსანდრე, ლეგიონი.
138. სალთხუციშვილი გრიგოლ, 2 ბრ. 3 ბატ.
139. სისაური ილია, გვარდიელი.
140. სალუქაშვილი ალექსან., საკავალ. ესკადრონი.
141. სვიმონაშვილი გიორგი, გვარდ.
142. სამუშია დიმიტრი, 4 ფეხ. პ.
144. სეფ-ფულა-მირზა-ალი-ხან, 1 ცხ. პოლკი.
145. სანიძე ნიკოლოზ, სამთო ბატ.
146. ტყეშელაშვილი კირილე, სამხ. მინისტ. საყ. როტა.
147. თათარაშვილი ნიკოლ., 4 ფ. პ.
148. თევზაძე დარისპან, 1 ბრ. 1 ბატ.
149. ტურაბერაძე არსენ, 1 ბრ. 2 ბ.
150. ტუჩაშვილი სვიმონ. 1 ფეხ. პ.
151. თხლაშაძე გიორგი, 1 ბრ. 6 ბ.
152. უზნაძე მიხეილი, 2 ბრ. 3 ბატ.
153. უტიაშვილი ვანო, 4 ფ. პ.
154. უტიაშვილი ნიკოლოზ, 4 ფ. პ.
155. უსტიაშვილი გრუზა, 6 ფ. პ.
156. ფინკელი ბორისი, 2 ბრ. 3 ბ.
157. ხუბულაშვილი ლალვა, საგ. ბ.
158. ხურაშვილი ვასო, 5 ფეხ. პ.
159. ხატიაშვილი იოსები, 4 ფეხ. პ.
160. ხახუტაშვილი გიორგი, 6 ფ. პ.
161. ხარაშვილი მიხეილ, 4 ფეხ. პ.
162. ხორიბაშვილი ილია, 6 ფ. პ.
163. ხუბუა ისაია, 1 ცხ. პოლკი.
164. ნწუნაშვილი მიხეილ, 5 ფ. პ.
165. ხაჩიძე ივანე, 1 ცხ. პოლკი.
166. ცაბაძე კონსტანტინე, 4 ფ. პ.
167. ცანაცველაშვილი ალექსან., 4 ფეხ. პოლკი.
168. ციცკიშვილი ალექსან, 4 ფ. პ.
169. ცაცაშვა ირაკლი, 4 ფეხ. პოლ.
170. წიკლაური დავით, 4 ფეხ. პ.
171. ციტკიშვილი ივანე, 2 ბრ. 6 ბ.
172. წიგლაძე გიორგი, 5 ფეხ. პ.
173. ჭანტურია ტიმოთე, პარტ. რაზ.
174. ჩულაშვილი ვასილი, 4 ფ. პ.
175. ჩომახაშვილი იოსებ, პარ. რაზ.
176. ჭანკვეტაძე გრიგოლ, „ „
177. ჭანტორაია გიორგი, 1 ბრ. 2 ბ.
178. ჩაბაშვილი არტემ, 4 ფეხ. პ.
179. ჩიტაძე ვლადიმერი, 1 ბრ. 1 ბ.
180. ჭუტლაშვილი გრიგ., 4 ფ. პ.
181. ჩიგოგავა გიორგი, 1 ფ. პოლკი.
182. ჩაკაშვილი დავით, 4 ფ. პ.
183. ჩილინდარაშვილი მიხ., გვარდ.
184. შალამბერიძე პლატონ, 1 ცხ. პ.
185. შუბითიძე პავლე, 1 ცხ. პოლკი
186. შეყრელაშვილი აკაკი, 1 ცხ. პ.
187. შაქარაშვილი ნიკოლოზ, 2 ბრიგადა.
188. შოშიაშვილი ილია, 6 ფ. პ.

ო ფ ი ც რ ე ბ ი

1. ლოლობერიძე ნიკ. პორუჩ., 4 პ.
2. მაღალაშვილი შალვა პორ., 4 პ.
3. სტანიშაძე სვიმონ კაპ., 6 პოლ.
4. ჩუბაბრია სარდიონ პოდპ., 4 პ.
5. ჭილაძე ალექსან პორ., 4 პოლ.
6. გიორგაძე სევერიან პრაპ., 4 პ.

ყველა ესენი ჩამოყვანილი არიან ახალციხის ასპარეზიდან და სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო სალ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—სალ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა სალ. 9 ს. 27 წ.

პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო სალ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა სალ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო სალ. 8 ს. ფოთიდან
გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან
გამოვა სალ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში. თბილისსა და მცხეთის შუა იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ე ქ ი მ ი

ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.— 25—2305

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს

ე ქ ი მ

ა. ვ. ლევენშტეინისა

იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.

(თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი

ე. ა. მ ო ნ ს ე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6 7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13 42.

50—2119—3

წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო

ვლადიმერ შატბერაშვილისა

13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვლებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ

ზომიერ ფასებში

ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, ყდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ საკინძ-საკაზმავ საგნებს.

მისამართი: სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში დრ. მსახიობთა კავშირის გვერდით.

24—114—6

პატივისცემით ვლ. შატბერაშვილი.

სტამბა [illegible], გამბედის შესახვევი № 4.